ასეთ ხანგრძლივ („გრძელ“) გვალვას.  
ტალახში ვიხრჩობოდით  
წინანდელი წვიმების დროს,  
ამისთანა წელი ბუნებამ  
მუდამ გვიწყალობოს.  
მოეპიროთ თოხები,  
გუთანი და წალდი,  
ლამაზად შევაწყოთ  
„ოდოიას“ ქიკიკი.  
ქვეიანი კაცი ის ყოფილა,  
ვინც მაშინვე მიხვდა,  
ურგები სამართალი  
რომ გადააგღო („ხერელში ჩაჩურთა“).

478. ასეიანი ექიმეფი

ახლანდელი ექიმეფი

... ეიშახუ წამალეფსი  
სოფელს გილაკაკუნდეს,  
გლეხეფ დებლახითიკონი  
მინჯე მითინი ვაპუნდეს.  
მინსი ჰირი ოკირედუ,  
ვარა მითინ ბზაკუნდეს,  
ჩქინ ექიმი მაკითხედუ —  
სოფელს გილეფაფედეს.  
ისხი ჯგირქი მალოლეფი,  
მუსხი ღურედ უხანეთ,  
ართი კუჩხის ვაგოდგუნდ  
ეიშახ ექიმ უფარეთი.  
ვაილედუ-და, გინირთუდი  
გური ქვილი მწუხარეთი,  
გითოხვამა მიოჩქედეს  
ორფელიში მოხვარეთი.  
ასეიანი ექიმეფს

... წინათ წამლებს  
სოფელში ნაყადენენ ხოლმე,  
გლეხები რომ ავად გაემხდაროყავით,  
პატრონი არავინ გეყავდა.  
ზოგს ჰირი სქირდა,  
ან ვინმე გაგეთვალავდა,  
ჩვენი ექიმი იყო მკითხავი —  
სოფელში დაზიმზიმებდნენ.  
იმდენი კარგი დაგვემართოს,  
რამდენი კედებოდა უდროოდ,  
ერთ ფეხს არ გაადგამდა  
წინათ ექიმი უფულოდ.  
თუ არ გქონდა, გადაიქცეოდი  
გულდამწვარ მწუხარედ,  
გამოლოცვა მიაჩნდათ  
ყველაფრის მშველელად.  
ახლანდელ ექიმებს

განათლება ვაარკუნა,  
ფარა თინემს ვააკონა,  
ოკო გორას სქანი ჭუა,

მუსხი ჭგირიში ღირსიდანინ,  
ვამათქუე, მუ გიწუა.

#### 479. დეკუტატი

იფრელს უჯგუ ხალხიშ ნღობა,  
ხალხიშ ნღობა, ჭიმალობა,  
სოდე ხალხის ვაუცოურქინ,  
მუშო გოკო ღიდი კოჩანა,  
მუშო გოკო ღიდი ქონება,  
ილიონ ოქრო გიღუდასი,  
ოქრო არძა გეთებუ ღო  
ხალხი ვაგეთებუ ღდასი...

#### 480. შოთა რუსთაველიშ ლექსი

საქორთუოშ ოცქეფური  
ჯემე ნიეთ ორე ღოტებული,

ბრელი ნერი ნინაშა რე  
გინოღალირ, გოტებული.  
ჩქინ მთავრობა რუსთაველს  
შხვამ უჯგუშო აფასენს,  
ღიდი შოთაშ გაშინალო  
გინმოდვანა ათასემს.

ე მეჩა საუეუნოს  
ჯვალა მომიახალეს,  
ფიფქრენქ, ღდას ვათქუნა,  
შოთა, სქანი სსაქალეს.  
თიშ მასქეამათ ეთმექარუნქ  
ღოროფა ღო მსაქალეს,

კოჩიშ გასაკვირი ორე,  
უკათუა კალკალეს.  
ფრიღონი ღო ავთანდილი,

განათლება არ აკლიათ,  
ფული იმათ არ უნდათ,  
შენში სატკიეარს (ავადმყოფობას)  
ექებენ,  
რამდენი კარგის ღირსნიც არიან,  
ვერ ვიტყვი, (ან) რა გითხრა.

#### დეკუტატი

ყველაფერს სჯობს ხალხის ნღობა,  
ხალხის ნღობა, ძმობა,  
სადაც ხალხს არ უყვარხარ,  
რად გინდა ღიდეკაცობა,  
რად გინდა ღიდი ქონება,  
მილიონი ოქრო რომ გქონდეს,  
ოქრო ყველა გათავდება და  
ხალხი არ გათავდება არასდროს...

#### შოთა რუსთაველის ლექსი

საქართველოს საქებური  
ძველი განძია („ნიეთია“)  
დატოვებული,

ბევრ(ნაირ) ენაზეა  
გადაღებული, გამოშვებული.  
ჩვენი მთავრობა რუსთაველს  
სხვებზე მეტად აფასებს,  
ღიდი შოთას მოსაგონებლად  
(„გასახსენებლად“)

სდებენ ათასებს.  
ამ მეოცე საუკუნეში  
მთლად გაგვიახლეს,  
ფიქრობ, არასდროს იტყვიან,  
შოთა, შენს საყვედურს.  
ისე ლამაზად აღწერ  
სიყვარულსა და მეგობარს  
(მეგობრობას)

კაცის გასაკვირალია,  
(რომ) გაურევე შიგადაშიგ.  
ფრიღონი და ავთანდილი,

როსტევანი, თინათინი,  
იფრელს თინა ქომიწინა,  
ფატმანს ქუარჩქილათინი.  
ტარიელი გილუჯგვაჯგუ,  
ჩილაპურიშ ნდლულაფირი,  
სოროფილი ვაძირუნი,  
გური აფუ შინაფილი,  
დარეჯანი ქაჯენს აფ(უ)  
ქოფილი დო სუნაფილი.

#### 481. მუ ოხვარ

მუ ოხვარ ი კათას,  
იმუშუას ბრიგადას,  
მა სიმინდი ქომუჩას დო  
გერა რდას დო მიდგა რდას.

#### 482. ცირა დო გოზი

ბ ო შ ი:

— გამარჯობა, ცირასქუა,  
სო მეული თაურე?

ც ი რ ა:

— კოლექტივმა მანჭუაფუ,  
ყვანა მილუ თაურე.

ბ ო შ ი:

— მუქომ ილი ძღაბიშ ყვანა,  
ქოლირუნო გოჯინაშა?

ც ი რ ა:

— ნამუ რენი, ჯგირი რე დო  
ხოლო გურ მათ მოძინაშა.

ბ ო შ ი:

— ხოლო მიძინანქი ვარი,  
თინა დიგახაჩქედასი!

როსტევანი, თინათინი,  
ყველაფერს ის გვეტყვის,  
ფატმანს რომ მოვეუსმინოთ.  
ტარიელი დაბორგავს,  
კრემლით დამდნარი,  
შეყვარებული რომ ვერ ნახა,  
გული აქვს გასიებული,  
დარეჯანი ქაჯებსა ჰყავთ  
დაჰკერილი და წაყვანილი.

#### რა ეშველება

რა ეშველება იმ ხალხს,  
ინუშაოს ბრიგადაში,  
მე სიმინდი მომცეს და  
გერა იყოს და ვინც გინდა იყოს.

#### გოგო და გიჟი

ბ ი ჰ ი:

— გამარჯობა, ქალიშვილო,  
სად მიდიხარ აქეთ?

გ ო გ ო:

— კოლექტივში მეჩქარება,  
ყანა მაქვს აქეთ.

ბ ი ჰ ი:

— როგორი იქნება გოგოს ყანა,  
ღირს კი ნახვად?

გ ო გ ო:

— რაც არის, კარგია და  
კიდევ ვაპირებ მომატებას.

ბ ი ჰ ი:

— კიდევ მოუმატებ კი არა,  
იმისი გათონა შესძლო ნეტავ  
(რაცა გაქვს).

ც ი რ ა :

— ხაჩქუას ქილიივქყა —  
ვეებგინა გათებას.

ბ ო შ ი :

— ეჯგურა ხაჩქუა ქოგიჩქუ-და,  
მოლმატუნი ოსურო.

ც ი რ ა :

— მიღგატუნე, სქან ოჯახის  
ჯგირ ღო სქევაში ქოტუნო?

ბ ო შ ი :

— რადგან ხაჩქუა ქონორჩქვენი,  
სი ირფელი გაღვენუ.

ც ი რ ა :

— მა სქან ლუდეს ჩქიმი ვქკომე,  
სი ონჯლორე გაჩქვენუ.

ბ ო შ ი :

— მა ეს ვამიფთაკილუა,  
ჯგირ წირსუფალი გატვენუ.

ც ი რ ა :

— უმუშერას მიღგატუნე,  
სქანჯგუა ჭკუა მალვენუ.

ბ ო შ ი :

— მა სი მუშე გიღონანქ,  
ღიხა ღემახაჩქე-და?

ც ი რ ა :

— სქანჯგვა ბოშიშა მატუნალქ  
ქომონჯიშა ღლას ველას.

გ ო გ ო :

— თოხნას დაეიწყებ,  
ვერ ვიგრძნობ გათაებას.

ბ ი ჭ ი :

— თუ ამისთანა თოხნა იცი,  
გამომყევი ცოლად.

გ ო გ ო :

— რომ გამოგყევი, შენს ოჯახში  
გაქვს ქონება? („კარგი და ლამაზი  
ძევის?“)

ბ ი ჭ ი :

— რადგან თოხნა გცოდნია,  
შენ ყველაფერი გექნება.

გ ო გ ო :

— მე შენს სახლში ჩემი რომ ვქამო,  
შენ შეგრცხვება („სირცხვილი  
გეცოდინება“).

ბ ი ჭ ი :

— მე ამას არ ვიუკადრისებ,  
კარგი ჭირისუფალი გეყოლება.

გ ო გ ო :

— ზარმაცს („უმუშევარს“) რომ  
გამოგყევი,  
შენისთანა ჭკუა მექნება.

ბ ი ჭ ი :

— მე შენ რად წაგიყვან,  
თუ ყანას (მიწას) ვთოხნი?

გ ო გ ო :

— შენისთანა ბიჭის გაყული  
ქმარს („ქმართან“) არასდროს  
გაყვეს („წავიდეს“).

ბოშ ი:

— ჩქიმჩკგურა სქვამი ბოშის  
საქომონჯოთ მიწონენქო?

ცირა:

— სი ტყურას მალორენქ დო  
მა მართალს გიწოლენქო?

ბოშ ი:

— ნამთინ ძღაბენს დედ მოწონა,  
დიგურეთ ხაჩქუანი.

ცირა:

— ჰიქე დუსუ ქუმეთხილე,  
ვარკოფანი ამქუანი.

483. ცირა დო ბოშ ი

ობირე

ბოშ ი:

— ცირა, აშო მიკმოჯინი,  
სკან თოლეფიშ ჰირიმა,  
ართ შურით დო ართ გურით  
სქანათ მოკო ჯგირი მა.

ცირა:

— ბოში, მა სი მუ გიწუა,  
გური გაგიხარე ფერი,  
ჩაი ბრელი დოვწილათი,  
ირო ვონჯარუათ ნტერი.

ერთად:

— აბა, ართო გილაფრთათი  
კილე კილარდვაფილო,

ართიანი მიწორდანი,  
სქანი გოლუაფირო.

ბიჭი:

— ჩემისთანა ლამაზ ბიქს.  
საქმროდ მიწუნებ?

გოგო:

— შენ („ტყუილს“) მატყუებ და  
მე მართალს გეტყვი?

ბიჭი:

— ზოგ გოგოებს თავი მოსწონთ,  
თოხნა რომ ისწავლეთ.

გოგო:

— ცოტა თავს მოუფრთხილდი,  
არ დაგიკირონ ამ დილით:

გოგო და ბიჭი

სასიმღერო

ბიჭი:

— გოგო, აქეთ შემომხედე,  
შენი თვალების ჰირიმე,  
ერთი სულით და ერთი გულით  
შენთვის მე კარგი მინდა.

გოგო:

— ბიჭო, მე შენ რა გითხრა  
ისეთი, რომ გული გაგიხარო,  
ჩაი ბევრი მოვკრიფთო,  
მულამ ვაჯავროთ მტერი.

ერთად:

— აბა, ერთად ვიაროთ  
ხელიხელგადახვეულად („მკლავგაყრი-  
ლად“);

ერთმანეთი გვიყვარდეს,  
შენ შემოგველე.

ბოშო:

— მა ფჩხუბენდი, ჩქიმი ცირა,  
სი თაქ ღოვხვადი გომორძგვილო,

ძღაბი:

— სი ჩხუბენდი, მა ვმუშენდი,  
ასე ართო ვორეთ წორო,  
ქომორთინი, ქოდორხვადი,  
მეტი მუ გოკოდუ მორო.

ერთად:

— აბა, ართო გილაფრთათი  
კილე კილარღვაფილო,  
ართიანი მიცორდანი,  
სქანი გოლუაფირო.

ბოშო:

— მოსაქვარეთ ვადამწონა,  
მა გოხოლუქ ბრიგადირი,  
მუ ფქიშინა, სქან ჟოროფაქ  
გემილანდლუ დუდიში ტვინი.

ძღაბი:

— სქანი სიტყვა მალამო რე  
გურიში გიმახარებელი,  
მალას მიდამიღონი, ვარა  
კარს გისოფუ მარებელი.

ერთად:

— აბა, ართო გილაფრთათი  
კილე კილარღვაფილო,  
ართიანი მიცორდანი,  
სქანი გოლუაფირო.

484. მუშოთი გოკო, პეხუ, ფარა?

მუშოთ გოკო, პეხუ<sup>1</sup>, ფარა?  
იშუე დო ძუდასჯი,

ბიჭი:

— მე ვომობდი, ჩემო გოგო,  
შენ აქ დამხვდი გამარჯვებული.

გოგო:

— შენ ომობდი, მე ვმუშაობდი,  
ეხლა ერთად ვართ (ორივენი),  
რომ მოხვედი, დავხვდი,  
მეტი რა გინდოდა, აბა.

ერთად:

— აბა, ერთად ვიართო  
ხელიხელგადახვეულად,  
ერთმანეთი გვიყვარდეს,  
შენ შემოგვევლე.

ბიჭი:

— მოსაქმედ არ დამიწუნო,  
მე გახლავარ ბრიგადირი.  
რა ვქნა, შენმა სიყვარულმა  
ამიძღვრია თავის ტვინი.

გოგო:

— შენი სიტყვა მალამოა  
გულის გამხარებელი,  
მალე წამიყვანე, თორემ  
კარზე ბობოქრობს მაჰანკალი.

ერთად:

— აბა, ერთად ვიართო  
ხელიხელგადახვეულად,  
ერთმანეთი გვიყვარდეს,  
შენ შემოგვევლე.

რად გინდა, პეხუ, ფული?

რად გინდა, პეხუ, ფული?  
რომ იშოვო და იღოს,

<sup>1</sup> პეხუ — კაცის სახლია.

ბარგე გიღუდას, ვამგოქუნდას —  
კურთხუს ნიკობუდასანი?  
საონჯლოროთ გიღეშე დო —  
დარდი ვაგიღუდასანი?  
მუშოთ გოკო თენერ ღვენა —  
ქუდორსქილაღუდასანი,  
მუშოთ გოკო ქვერსემ ღუდე,  
კარი ვეგლაბუდასანი,  
ჩხურუს მილაცანცალანდე —  
ბუხარ ვემეიდგუდასანი,  
ვართ ლახარას გარგებუდას,  
ვართ სუმარი რჷუნდასანი?  
მუშოთ გოკო თეჯურა ღუდე —  
თექე ქეგერქუდასანი...  
ვარ მუშ გოკო იმუშუე,  
გემო ვაგიღუდასანი,  
ფალო ქკისე ძვაბუნდე დო  
კუჩხის ვამგოქუნდასანი,  
ღებიას გაღურუდე დო  
ღვალი გიზეპუდასანი,  
ართ კიზ ბეასე დღას ვაშუნდე,  
ხუთი ჩხოუ რჷუნდასანი.  
ვარ მოთ გოკო თბინეხე,  
ღურზენ მეზეპუდასანი,  
ეჩ კოკიან ბოქკეფით  
კურთხუს კინოიდგუდასანი,  
ვართ სი შუნდე, ვართ შხვას ჩანდე,

შური ქუგოღუდასანი,

გიმოჩამას წყათუნდე დო  
ძმარო გინგართუდასანი?  
მუშოთ გოკო თეცალი ღვენა —  
ქოდორსქილაღუდასანი.  
წისქვილიშა ხუჯით მიშე,

გვერშაპ ხოჯეუ რჷუნდასანი,  
ხიხილერი აგაფაშა  
თინეფი ეკოღუნდასანი,  
„ოუქ კვალს“ — დოუძახუქ,

ტანსაცმელი გქონდეს, არ გეცვას,  
კუთხეში ეკიდოს?  
სამარცხვიროდ დადიოდე და —  
დარდი არა გქონდეს?  
რად გინდა ასეთი ქონება —  
(უპატრონოდ) დაგრჩენოდეს,  
რად გინდა უზარმაზარი სახლი,  
კარი რომ არ ებას,  
(შიგ) სიცივით ცახცახებდე,  
ბუხარი არ გქონდეს მიდგმული,  
ვერც ავადმყოფობისას გარგოს,  
არც სტუმარი გყავდეს?  
რად გინდა ასეთი სახლი,  
იქვე დაგწვოდეს...  
ან რად გინდა იმუშაო,  
გემო არა გქონდეს,  
ცარიელა მჰადს ძიძგინდე და  
ფეხზე არ გეცვას,  
ლობიოს მიაკვდე და  
ყველი ოხრად გეყაროს,  
ერთ კოვზ რძეს არ სვამდე არასდროს,  
ხუთი ძროხა (კი) გყავდეს.  
ან რად გინდა ვენახი („სავენახე“),  
ყურძენი (უხვად) გეყაროს,  
ათკოკიანი კასრებით,  
კუთხეში გედგას,  
არც შენ დალიო, არც სხვას

დაალევირო,

სულიც რომ მიგდიოდეს  
(„გივარდებოდეს“),

გაყიდვისას წყალს ურევდე და  
ძმარად გექცეოდეს?  
რად გინდა ასეთი ქონება —  
(ოხრად) დაგრჩენოდეს.  
წისქვილში მხრით მიდიოდე

(მიგქონდეს საფქვავი),

გველშაპი ხარები (კი) გყავდეს,  
ჩრჩილით შექმულ კავში  
ისინი გებას,  
„კვალს მიპყე“ — დაუძახებ,



გაღე მისოფუდასანი...  
ეს ეოუჭგუნო, ეჭგვრა ხოჭეფ,  
კოლექტივის ჟუნდასანი,

აგაფაში მანგიორო,  
გუთანს მეუქქულასანი,  
სტანანოვი კოლმეურნე  
თისგ ეკოლუნდასანი.  
უხუჯურო მიქციანი —  
ოთხ ვერშოკის ნწყუნდასანი...  
მუში დროშა მუშენდას დო  
მუში დროშა ჭკუნდასანი,  
ვარდა ხოჭეფ მუშოთ გოკო,  
ქოდოჩსქილადულდასანი.

485. კოლონა დო ჩიმი ჩხუბი

თინენ ვორექ თე ქიანას,  
საქმე ჭგირო ვათუე,  
მართალსი მა მი შენდევბ,  
დღას სიმართლე ვაფთქუე!  
ირდისხას მუაცხადუქ  
ჯარი აკოპკათუე,  
ეთექიან ორჩქილარო  
თენა ქაშუკათუე:  
— ართიშახ, ჭიმაღლეფი,  
ეიშო მიფში თეკართის,  
სწორეთ გილართელ ბორჯის  
გოხოლელი ჭალადის.  
კოლონენქ ქომიციის  
დახე დუდი მეფხვატეს,  
იარადი გეგლენწყეს,  
გელასირეს, გემართეს...  
მუზმა აკოფსიროტ, მარა  
იშენი გუმაფაფუდეს,  
ფრანტულს იჩიებუდეს,  
ჩქინობურას ვაუდეს...  
ჩქიმი ლურა ეაუჭგუნო,  
კოლო ჩხუბის მიპირენს,  
მარა ბურკულს ვირქინუა,

22. ქართული ხალხური სიტყვიერება

(ისინი კი) გარეთ გარბოდნენ.  
ამას არა ჯობია, ამისთანა ხარები  
კოლმეურნეობას („კოლექტივის“)  
ჰყავდეს,

კაცის ნაცვლად,  
გუთანს ებას,  
სტანანოველი კოლმეურნე  
მას უკან მიჰყვებოდეს,  
უხერხულად რომ მოიქნენ,  
ოთხ ვერშოკს აქცევდნენ.  
თავის დროზე მუშაობდეს და  
თავის დროზე ჭამდეს,  
ან ხარები რაღად გინდა,  
(ოხრად) დაგრჩენოდეს.

კოლონა და ჩიმი ჩხუბი

იმიტომ ვარ ამ ქვეყნად,  
საქმე კარგად გაეათავო,  
მართალს მე ვინ მენდობა,  
არასდროს სიმართლე რომ არა ვოქვა!  
ყველგან გამოვაცხადებ  
ხალხს შეეკრებ,  
იქ მოსასმენად  
ამას გაუტრევე:  
— ერთხელ, ძმებო,  
იქით მივდიოდი თეკლათში,  
სწორედ სამხრობის ეამს  
გახლდით ჭალადიდში.  
კოლოები მომცვიდნენ  
კინალამ თავი მომაკენიტეს,  
იარალი აიხსნეს,  
ალესეს, გამართეს...  
რამდენი ამოველიტე, მაგრამ  
მინც გარს მებეკოდნენ,  
ფრანგულს ლაპარაკობდნენ,  
ჩვენებურს არა ჰგავდნენ...  
ჩემთვის სიკვდილი არა ჯობს განა,  
კოლო ომს მიპირებს,  
მაგრამ წალდს ვიქნევე.

დევოტიას კიბორენს...  
აწ ქაფხადალდ ვამიჩქედუ,  
მეტი კოლო მაჩხუბარი,  
რიონ პიჯმა გიშებლი დო  
ქეგლაბარგულ კოლომ ჭარი.  
გიშელ უნჩამ კოლოქი დო  
პკითხუ სახელი დო გვარი,  
მარა ეშენ, გიჩქედანი,  
მუოშინი სწორეთ ვარა,  
ჟინ ღორონს ქანუეხეხევი  
დეეპწერი პიჯუარი...  
ქეგვამქვი დო მემიტირხუ,  
ხესი ქომკინებუ ტარი,  
თიწკმა პიკეკ ქუმაქუტრინ,  
დუღმა ვარე ოკქვაფალი.  
გაკირებული თეკინეშე  
შითინი ვარდუ ჩქიმიცალი,  
ფერი წაულორ მადუდუ დო  
ფტანცალანდი მა საწყალი.  
ინტე — სოვრე ინტებუდი,  
ვაგაფულედ კუჩხიმ კვალი,  
ოკოლონე — ოლეტედ  
ქალადიდი გიონწყყალი...  
ჩქინ მთავრობაქ ბრელი მანაჩქ  
ექსევატორეფიმ ჭარი,  
ნამუქითი ქალადის  
დაასქირუ ქყოქვომ წყარი...  
დოსქილადირ კოლონეფ  
ჯაბიმ გოჩინაფილი,  
გორდი მინდორს მესხაუნს  
თოლი გოპირქინაფილი.  
საარკოქ მაქიშესინ,  
გულ აფუნა შინაფილი,  
არძას ქეშგეცოდებუნა,  
თინენს ქაარჩქილათინი...  
გორდი კოლოს ეჩიებუ —  
ასე ვორეთ დინაფილი.  
ოდო, ასე ქალადის  
იფრელ ჭგირ დო სქვამი ფუნს,

კბილებს ვულეწავ...  
აწ თუ შემხვდებოდა, არ ვიცოდი,  
მეტი კოლო მოჩხუბარი,  
რიონის პირზე გავედი და  
ნოგროვილა კოლოს ჭარი.  
გამოვიდა უფროსი კოლო და  
ბკითხა სახელი და გვარი.  
მაგრამ ამაზე, იცოდეთ,  
სოვასხენე სწორედ უარი,  
ძალა ღმერთს შეეხეხეწე  
გადავიწერე პირჯვარი...  
დავარტყი და გადამიტყდა,  
ხელში მიჭირავს ტარი,  
მაშინ ცოტა შემეშინდა,  
თავის ქება საკირო არაა.  
გაკირებული იქ  
არავინ იყო ჩემსავით,  
ფერი წამხდარი მქონდა და  
ვცახცახებდი მე საწყალი.  
გაიქცევი — საით გაიქცეოდი,  
ვერ დამალავდი ფეხის კვალს,  
საკოლო — სატალახო იყო  
ქალადიდი დასაქცევი...  
ჩვენმა მთავრობამ ბევრი გამოგზავნა  
ექსევატორების ჭარი,  
რომელმაც ქალადიდში  
დააშრო ქაობის წყალი...  
დარჩენილი კოლოები  
დარდისაგან (არიან) გამეშებული,  
ბაყაყი მინდორში მიხტის  
თვალებგადმოკარკულული.  
ვასაოცარს რომ მოესწრნენ,  
გული აქვთ გასიებული,  
ყველას შეგეცოდებათ,  
მათ რომ მოუსმინოთ.  
ბაყაყი კოლოს ეუბნება —  
ახლა ვართ დაღუპული („დაკარგული“).  
ჰო-და, ახლა ქალადიდში  
ყველაფერი კარგი და ლამაზია  
(„დულს“),

გორდი ვაყაყალანსი დო  
კოლო ვეგლაპუტინუნს.

გომპეშო არ ყიყინებს და  
კოლო არ პუტუნებს.

#### 486. ჩქიმ ჩონგური

#### ჩემი ჩონგური

თე ჩონგური მაბირეთ  
უძღვინეს-ე ოდიშის,  
საკუთარო ნაკეთებუ,  
თენა ვაგე ნოდიშის.  
ჩქიმ ჩონგური, გიჩქედანი,  
ნათოლა რე მარგალიში,  
უკილეთე კეთებული —  
მუთა ორკე ანგარიში;  
ურთხელიში ოფორალი,  
ჯორი გედგე ბზაქალიში,  
ქეარა მორგვალეზული რე,  
მუნახაზა ფარგალიში.  
საზოგადოს ვალინანთ  
მა დო ჩქიმი ჩონგური,  
პარტიანო ალაღური,  
ვაგაფუთუ ორგული...  
კუბოთ მოკო იში ქეარა,  
ეგებ უცებ დობლური,  
ართო ოკო მიიბლათ  
ლაკადა დო ხორგული.  
ანდერძის დიიბჩინა —  
წორო-წორო დომთხორანი,  
ქეარას ქინმოსვანჯუანი,  
ქემნობდგანი ოფორალი.  
ჰე, ჩონგური, მა დო სი  
გინიბგათ ჩქენი ვალი,  
მინჯექ სი ვაგერგე-და,  
ენა ვა რე სქანი ბრალი.  
ჩონგურეფი ბრელი სორგუ,  
მუქოთ ჯვეში ბარაბანი,  
მაბირეთ სი ვა გიჯგუ,  
ნამთინი სქანი გვარი,  
ჰე, ჩონგური, ქედობჰყათ  
სქანობურათ ლურჯული,  
უადილათ ჩაქუჩი,

ეს ჩონგური მომღერლად  
უძღვენეს ოდიშს,  
საკუთარად გაკეთებული  
არ ჰგავს ნადის (ნახელავს).  
ჩემი ჩონგური, იცოდეთ,  
გათლილია მეგრელის (მიერ),  
უნაკლოდ გაკეთებული —  
არ აკლია ანგარიში (სრულყოფილი):  
უთხოვრის საფარველი (აქვს),  
ჯორა უდგას ბზის,  
მუცელი მომრგვალეზულია,  
მონახაზი ფარგლისა.  
ხალხს ვემსახურებით  
მე და ჩემი ჩონგური,  
პარტიისთვის ალაღული,  
არ ვყავართ ორგული...  
კუბოლ მინდა მისი მუცელი,  
ეგებ უცხად მოვკვდე,  
ერთად უნდა ჰოვიართო,  
გორაკი და ვაკე (მხარე).  
ანდერძს დავიბარებ —  
ორნივე ერთად დაგვმარხონ,  
მუცელში ჩამასვენონ,  
(ზედ) საფარი დამადონ.  
ჰე, ჩონგურო, მე და შენ  
მოვიხადოთ ჩვენი ვალი,  
პატრონი თუ არ გამოგადგა,  
ეს არაა შენი ბრალი.  
ჩონგურები ბევრი ყრია,  
როგორც ძველი ბარაბანი,  
ნომღერლად შენ არ გჯობს  
ვერც ერთი შენი გვარი(დან),  
ჰე, ჩონგურო, დავიწყოთ  
შენებურად ქიკვიკი,  
უადილოთ ჩაქუჩი,

მაგანა დო ბურჭული.  
ანწი ვამიძირუდანი  
ბურჯუაში კუჭული,  
კულაკობაქ დემარცხ,  
სოდგა მიკოკუჭუნი.

ნამგალი და ცული.  
ანწი არ დაგვენახოს  
ბურჯუას კუჭულა<sup>1</sup>,  
კულაკობა დამარცხდა,  
სადლაც რომ მიკუნჭულა.

#### 487. ინბირიში ლეხნარა

#### მნბურის ხეობა

ჯვარც გინილენც მანქანა დო  
კვრდეს მეურცუ მიკე-მიკე,  
ირო ინგვრც გინოთხოზე,  
ვეგნურთანეც განიმიკე;  
თუდო წყარი პოპორც ორთე,  
ეი მანქანა მიკვარკვანტე,  
მანქანაში ელნათურა  
ოქროში სინთეთ იკარკანტე.  
მეურცუ დო მიკვარკვანტ  
მიკოთხოზე ქვრქემ ოგასე,  
სოციალისტურ ეპოქაშა  
კოც ვაუძირე თენა დლასე.  
ჯვეში დროსე მი შინანდე  
შონეში მალე მანქანასე,  
მარა ასე მინისარსალ  
გოქვადილი მაგანასე<sup>2</sup>;  
„ომუნეშ“<sup>3</sup> ჯიხას მიკილენც,  
გინმაჯინე ფაფალასე,  
თუდო ინგერი გვარგვალანც,  
უკეჟინენც მანქანას  
დო შონეშე ჯას არხენცე  
კომბინატიში ქარხანას.

ჯვარიდან გავა მანქანა და  
კლდის ციკაბოებს მიჰყვება,  
სულ ენგურის კიდეც გასდევს,  
განზე არ გადაუხვევს;  
ქვევით წყალი ღვართქაფსა სცემს,  
ზევით მანქანა მისრიალებს,  
(და) მანქანის ელნათურა  
ოქროს სინათლით ეაშკაშებს.  
მიღის, ბზრიალით მიჰყვება  
(და) ქარაფის კიდეც გასდევს,  
სოციალისტურ ეპოქამდე  
ეს არავის არ უნახავს.  
ძველ დროში ვინ ახსენებდა  
სვანეთში წამსვლელ მანქანას,  
ახლა სრიალით გაივლის  
ხიდს მაგანაზე;  
„ომუნეს“ ჯიხას ჩაუვლის,  
(და) ქარაფებს გადაჰყურებს,  
ქვევით ენგური თუხთუხებს,  
უყეიენებს მანქანას  
და სვანეთიდან ხეს აწვდის  
კომბინატის ქარხანას (ქალაღდის  
კომბინატს).

#### 488. რკინაში შარა

#### რკინიგზა

მატარებელ მოურცია,  
რაგადი რე, ფაცია,

მატარებელი მოღისო,  
ამბობენ, ფაციფუცია,

<sup>1</sup> კუჭულა — ილიომური გამოთქმა, ამ შემთხვევაში ნიშნავს: ბურჯუას კუჭულა (ბოლო) არ გვენახოსო. კუჭულას უწოდებენ, რასაც წვეტიანი დაბოლოება აქვს.

<sup>2</sup> მაგანა — ენგურის შენაკადი მდინარის სახელია.

<sup>3</sup> ომუნე — ადგილის სახელია ენგურის სანაპიროზე.

„სანაკიშე გინილენცი,  
ლარჩვას იყიი სტანცია“.  
ირფელ ართო გაფინთებე,  
მუ რე, მოლვარანცია,  
ქვაბი გოფურაფილი რე,  
ლულა გვარგვალანცია,  
მუ ნძალა რე ურთანცენი  
თეზმა ბარბალამცია?  
ირფელ ართო გაკოტვრხზ,  
რეიცას ღაჩვრთასია.

„სენაკიდან (რომ) ვადმოვა,  
ლარჩვას! იქნება „სტანცია“.  
სუყველა ერთად დამფრთხალა,  
რა არის, რომ მოზღავესო,  
ქვაბი გახურებულა,  
მლულარე თუხთუხებსო,  
რა ძალა აბრუნებსო?  
ამოდენა ბორბლებიანს?  
ყველაფერი დაიმსხვრევა,  
ლიანდაგს რომ ვადანსცდესო.

489. ღეღის წერილი ომში წასული შვილისადმი და შვილის პასუხი

ღეღაში მინაპარა

ღეღის მინაწერი

— სი ჩქიმ მანგარალი ხუტუ?,  
სო რე ოგვიჩინანქენი!

შენ, ჩემო დამტირებელო ხუტუ,  
სადა ხარ (უწყინარო და) ბრგე  
(ვაუკაცო)!

მართალო გეგოკყორდიო,  
მუთუნც ვა მიჩინანქენი?  
თოლიშ სინთე მიდამიღ  
თქვეანიღურე ჭინაქენი,  
ვემეფხვადი, მუ ფქომინე  
თქვეან მარდულ ღიდაქენი?..  
მარა იმენდ ქემოსქიდუ,  
მალას გამახარენთენი,  
ღო თქვეანი უძირაფუო  
ღურას ვაპაყალენთენი.

მართლა დაგავიწყდი,  
რომ არაფერს არ მითელი?  
თვალის სინათლე წამართვა  
თქვენევენ ცქერამ,  
ვერ ვხვდები, თუ რა ვქნა  
თქვენმა გამზრდელმა ღედამ?..  
მაგრამ იმედი კი მრჩება,  
რომ მალე გამახარებთ,  
და თქვენ უნახავად  
სიკვილს არ მომაყარებთ (არ მაცლიო  
სიკვილს).

თეზმა თიშენ გინომიღუ,  
ურგებელი ვარეთენი,  
იმენდ მიღუ, ვადინთუ  
სიმართალიშ კართესენი.

ამდენს (ტანჯვას) იმით ვიტან,  
რომ ურგები არა ხართ,  
იმედი მაქვს არ დაიკარგებით  
სიმართლის კალთაში.

წერილი ხუბასაზან ღეღას ფრონტიდან (1942 წ. 7/8)

უპირველეს ირფელიშე  
გისურვენქ ჭვირობუას,

უპირველეს ყოვლისა  
სიკეთეს გისურვებ,

1 სოფელ ხეთის (ხობის რაიონი) პატარა უბანი.

2 ხუტუ ჭიჭიხია.

დო ფთხულე ბუნებას,  
ირიართო ჭგირო რცლას...  
ჯარიში დიდი მეთაური  
სქან სქუასუთ იფოთუანც,  
ღიაჩქიმი, გრანატებც  
ნტერეფც ვობურინუანთ,  
ქომოლურო ლემენა დო  
თენეფც ვოკათეჟ მათი;  
ანწი, დიდა, ძირათაშა,  
თაქი ვათე ქარუასჯ,  
სქან სუმხოლო სქუალეფი  
ღორონთქ ქეგოქარუას.

და შევსთხოვ ბუნებას,  
ყოველთვის კარგად გამყოფოს...  
ჯარის დიდი მეთაური  
შენს შვილსაც საიმედოდ თელის.  
ღეღაჩემო, გრანატებს  
ბზრიალ-ბზრიალით ვუშენთ მტერს,  
ვაუკაცურად ომობენ და  
მათში ვურევივარ მეც;  
აწი, ღედა, ნახვამდის,  
აქ ვათაეებ წერას,  
შენი სამივე შვილი  
ღმერთმა გაღირსოს (დაგიბრუნოს).

## მეგრული ლექსის სტრუქტურის საკითხები

მეგრული ლექსის სტრუქტურა ყველა არსებით მომენტში ემთხვევა ქართული ხალხური პოეზიისათვის დამახასიათებელ სტრუქტურას<sup>1</sup>, თუმცა გვაქვს რიგი თავისებურებაც, ისევე როგორც (მართალია, ნაკლები ზომით) გარკვეული თავისებურება შეინიშნება საქართველოს სხვადასხვა კუთხეში შექმნილ პოეტურ ნიმუშებს შორისაც.

მეგრული ლექსთწყობა დღემდე საგანგებო შესწავლის საგანი არ ყოფილა<sup>2</sup>. პროფ. იოს. ყიფშიძე თავის ფუნდამენტურ ნაშრომში „მეგრული ენის გრამატიკა“, რომელიც დღემდე რჩება მეგრულის ერთადერთ სრულ აღწერად, გამოთქვამს მოსაზრებებს მეგრული ლექსთწყობის შესახებაც<sup>3</sup>. ავტორის დაკვირებით, მეგრული ლექსთწყობა, მსგავსად ქართულისა, ტონურ-სილაბურია, ე. ი. ემყარება მახვილთა დასმის წესებს და მარცვალთა რაოდენობის თანაბრობას ტაქში. ამ თანაბრობის დასაცავად დასაშვებია ბოლოკიდური ხმოვნის მოკვეცა, ხმოვნის ამოღება, აგრეთვე ხმოვნის დამატება. და მაინც, მარცვალთა თანაბრობა ხშირად დარღვეულია.

ლექსის ყველაზე გავრცელებული საზომია რვა მარცვლიანი ტაქვი. გვაქვს ნარევი საზომებიც (ათ და რვა მარცვლიანი ტაქვთა მონაცვლეობა). ლექსი შედგება ორმარცვლიანი და სამმარცვლიანი ტერფებისაგან:

ორმარცვლიანი ტერფები<sup>4</sup>.

ბატონეფი/ გამი/გონით/ ათე/ ჩქიმი/ გურიშქვა,  
გური/ წაუ/ლირი/ მათე/ მა ლო/რონსე/ ვიფუ/ჩუა.  
„ბატონებო, გამოგონეთ ეს ჩემი გულისტკივილი,  
გული წამხდარი მაქვს, მე ღმერთს ვფიცავარ“.

<sup>1</sup> ქართული ლექსის შესახებ იხ. ს. გორგაძე, ქართული ლექსი, თბილისი, 1930; ავ. გაწერელია, ქართული კლასიკური ლექსი, თბილისი, 1953 (იქვეა ვრცელი ბიბლიოგრაფია); გ. წერეთელი, მეტრი და რითმა ვეფხისტყაოსანში, თბილისი, 1973.

<sup>2</sup> ავად. გიორგი წერეთელი აღნიშნავდა, რომ მეგრულ-ლაზური და სვანური ლექსთწყობა თითქმის სრულებით შეუსწავლელია და ამის გამო ქართული (და ქართველური) ლექსის ისტორიის კვლევა-ძიება გაჩნელებულიაო. ეს აზრი გაკრით ბეჭდურადაც გამოთქვა იხ. მისი — მეტრი და რითმა ვეფხისტყაოსანში, თბილისი, 1973 წ., გვ. 53.

<sup>3</sup> И. Книш и д з е, Грамматика мингрельского (иверского) языка, СПб, 1914, გვ. 0146—0150.

<sup>4</sup> მახვილიანი ხმოვნები აქ და ქვემოთ აღნიშნულია შავად.

## სამმარცვლიანი ტერფები:

მახა/მა სქანოთ/კირიბი/ვორდა,

ირ გა/ვირებაშ/გალუ/აფარი...

„მახა (გამხარებელი), მე შენთვის კრავი ვიყო,

უოველი გაკირვების სანაცვლო („შემოსავლები“)“...

ლექსი ჩვეულებრივად რითმიანია. გამოყენებულია გართიმის სხვადასხვა სახეები (ხშირად ერთსა და იმავე ლექსში).

ასეთია იოს. ყიფშიძის მოსაზრებები.

როგორც ქვემოთ ვნახავთ, ამ გაკვრით გამოთქმულ მოსაზრებებში ბევრი რამ საყურადღებოა, თუმცა ზუსტი კანონზომიერებები ავტორს არ დაუდგენია (ვთქვათ, ხმოვანთა დაკლება-დამატებისა). ვერ გავიზიარებთ ტაეპთა ანალიზს ტერფების მიხედვით (პატრო/ნეფი და მისთ.). ბუნებრივია, იოს. ყიფშიძეს „მეგრულის გრამატიკაში“ ვერ მოეთხოვთ ლექსის სტრუქტურის ვრცელ ანალიზს და იმ თავისებურებათა გამოვლინებას, რაც მეგრულ ლექსს, როგორც ქვემოთ ვნახავთ, ახასიათებს.

მუხლი. მეგრული (ისევე როგორც საერთოდ ქართული) ლექსის ორგანიზაციის საფუძველს წარმოადგენს განსაზღვრული მარცვალთრაოდენობის მქონე მთლიანი მონაკვეთების. ე. წ. მუხლების მიმდევრობა სალექსო სტრიქონში ანუ ტაეპში<sup>1</sup>. სალექსო სტრიქონთა ერთობლიობა ქმნის სტროფს, რომელიც ჩვეულებრივად ოთხი ტაეპისაგან შედგება და შეკრულია რითმით.

სალექსო სტრიქონის უმცირესი სტრუქტურული ერთეული არის მუხლი, რომელიც წარმოადგენს მონაკვეთს, მოქცეულს ორ ცეზურას შორის. მუხლის საზღვარი, როგორც წესი, ემთხვევა სიტყვის საზღვარს: მუხლის დასაწყისი — სიტყვის დასაწყისს, მუხლის ბოლო — სიტყვის ბოლოს<sup>2</sup>. მუხლი შეიძლება შედგებოდეს ერთი ან რამდენიმე სიტყვისაგან. მაგრამ არ შეიძლება ერთი სიტყვა ორ სხვადასხვა მუხლში იქნეს განაწილებული (გახლეჩილი), რამდენადაც მუხლის საზღვარი (ცეზურა) სიტყვის შიგნით არ გადის ხოლმე. მნიშვნელობა არა აქვს იმას, თუ რამდენი სიტყვისაგანაა შედგენილი მუხლი, მთავარია სიტყვათა ეს რაოდენობა არ არღვევდეს მუხლის საზღვარს, მთლიანად ეტეოდეს მუხლის ყალიბში და არ იყოს ამ ყალიბზე არც მეტი, არც ნაკლები. მაგალითად, სტროფი:

<sup>1</sup> მახელის როლის წინ წამოწევა და ქართული ლექსის ანალიზი ე. წ. „ტერფები“-ში ხდებოდა მრავალ გაუგებრობას იწვევს. ამის შესახებ იხ. გ. წერეთელი, მეტრი და რითმა ეფესისტკაოსანში, თბილისი, 1973 იხ. აგრეთვე ჩვენი — ქართული სალექსო სტრიქონია აგებული უოგიერთი საკითხი, „ციცქარი“, 1974, № 7.

<sup>2</sup> გ. წერეთელი, დასახ. წიგნი, გვ. 13. მუხლის აღსანიშნავად გ. წერეთელი ხმარობს ტერმინს „სეგმენტი“. მუხლის შესახებ იხ. აგრეთვე ჩვენი ზემოთ აღნიშნული წერილი (იქვეა ლიტერატურა).



ასე, ჩონგურ, /ქოფთქუათი/  
სქან ღო ჩქიმი /გაპირება/,  
ჩონგურ, სი მუ /შეგიღებუ/,  
ვეგიადღე /განჩინება).

„ახლა, ჩონგურო, ვთქვათ  
შენი და ჩემი გაპირება,  
ჩონგურო, შენ რა შეგიძლია,  
ვერ დასდებ განაჩენს.“

შედგება ოთხი ტაქისაგან, თითოეული მათგანი კი ორი ოთხმარცვლო-  
ანი მუხლისაგან<sup>1</sup>, რომელიც ნებისმიერი გზით შეიძლება იყოს შედგენი-  
ლი, ოღონდ სიტყვათა ეს რაოდენობა ოთხ მარცვალში ჩაეტიოს. ჩვენს მაგა-  
ლითში ზოგი მუხლი შედგება ერთი ოთხმარცვლიანი სიტყვისაგან (ქოფთქუა-  
თი, გაპირება, შეგიღებუ, ვეგიადღე, განჩინება), ზოგი ორი ორმარცვლიანი  
სიტყვისაგან (2+2: ასე ჩონგურ), ორი ერთმარცვლიანი და ერთი ორმარ-  
ცვლიანი სიტყვებისაგან სხვადასხვა კომბინაციით (1+1+2: სქან ღო ჩქიმი,  
2+1+1: ჩონგურ სი მუ)... ასევე შეიძლებოდა გვექონოდა 1+3,  
3+1, 1+2+1 და მისთ. ანალოგიური მდგომარეობაა სხვა ზომის მუხლებშიაც  
(ვთქვათ, სამმარცვლიანებში, ხუთმარცვლიანებში). მაგალითად, ხუთმარც-  
ვლიანი მუხლებისგანაა შედგენილი ტაქებები:

5/5 მახა, მა სქანოთ/კირიბი ვორდა,/

5/5 ირ გაპირებამ /გალუფარი.../

„მახა (გამხარებულო), მე შენთვის კრავი ვეყო,

ყოველი გაპირების სანაცვლო („შემოსავლები“)...“

აქ გვაქვს მუხლები: 5 (გალუფარი), 2+1+2 (მახა, მა სქანოთ), 3+2 (კი-  
რიბი ვორდა), 1+4 (ირ გაპირებამ)...

სალექსო სტრიქონი (ტაქი) შეიძლება შედგებოდეს ორი ან მეტი მუხლი-  
საგან. ერთმუხლიანი სალექსო სტრიქონი ფრიალ იშვიათია (გვხვდება თითო-  
ორი სტროფის სახით). მეგრულში ჩვეულებრივია ორმუხლიანი და ოთხ-  
მუხლიანი ტაქები, თუმცა ეს უკანასკნელი (ოთხმუხლიანი ტაქი) შეიძლება  
გაეიგოთ როგორც გამწვანო, ერთ სტრიქონად წარმოდგენილი ორი ორმუხ-  
ლიანი ტაქი. სამმუხლიანი ტაქი მეგრულისათვის დამახასიათებელი არაა<sup>2</sup>.  
ამრიგად, ყველაზე ჩვეულებრივი ორმუხლიანი ტაქებია.

თავის მხრივ, მუხლი შეიძლება იყოს ერთმარცვლიანი, ორმარცვლიანი, სამ-  
მარცვლიანი, ოთხმარცვლიანი და ხუთმარცვლიანი. ყველაზე ხშირია ოთხმარ-  
ცვლიანი და სამმარცვლიანი მუხლები<sup>3</sup>. უფრო დიდი ზომის მუხლები მეგრუ-  
ლისათვის ბუნებრივი არაა.

1 მუხლთა შორის საზღვარს აღენიჭნავთ ცეზურის ნიშნით /.

2 შდრ. ერთ-ერთი ავტორის მიერ ქართლის გავლენით დაწერილი სამმუხლიანი ლექსი:

4/4/2 ცროფასი /ჯაკო ეზმა/ განჩი,

4/4/2 ა. კილა ღო /ჩქიმი გური/ განჯი!

„სიყვარულს არ უნდა ამდენი გადაყრული ლაპარაკი,

აჰა, გასაღები და ჩემი გული გააღე!“

3 რამდენადაც მუხლი მარცვალთა გარკვეული რაოდენობის შემცველი ერთეულია, ამ

ერთმუხლიანი ტაეპებისაგან შედგება კითხვა-პასუხის სახით შეთხზული ლექსი (არსებითად ურითმო):

5 — პაპა ნოდია,  
5 ლუმა სორდია?

— მღვდლო ნოდიაჲ,  
წუხელ სად იყავიო?\*

ორმუხლიანი ტაეპები:

4/4 ჩქიმი ჭიმა/გუჯმახანი  
4/4 აჲ ლინი/ქვდმახვამი!

„ჩემო ძმაო, გუჯმახან,  
ერთი ლინი გადმომილოცე!“

4/3 ჩქი უკეთენთ/დობორემს  
4/3 ნგერეფი დო/ჯოლორემს,  
4/3 ჩქი ჩქინ ღუსუ/ბღალატენთ,  
4/3 გერ დო ტურას/ვაშარგენთ.

„ჩვენ ვუშენებთ სასახლეებს  
მგლებსა და ძალებს,  
ჩვენ ჩვენს თავს ვღალატობთ,  
მგელსა და ტურას ვაშარგებთ.“

ოთხმუხლიანი ტაეპები:

4/4//4/2 ეო. ბურღა-დო/ბურღა-ოდა/ჩე ფრიმული/რჩანც!  
4/4//4/2 დლასჲ მისჲ გაგონებუ/შქა გჲმასჲ/თჯრა!  
242//2/4 ლუმუ ეკო/რთედუ-ოდა/ღეჯი ქოჲკო/მუნცჲ,  
26//4/2 ხურამენს ქიმი/ოშხუდეს /ჯოლორი დო/ტურა.

„ეო, ბურღა-და, ბურღა-ოდა თეთრი წვერები გაქვს,  
ოდესჲე ვის გაუგონია შუა ოქტომბერში თოვა!  
ლომი წაქეულა-ოდა, ღორი ქამს.  
უურამენს შესეგია ძალი და ტურა“.

მცირე ზომის მუხლები (ერთმარცვლიანი, ორმარცვლიანი) ჩვეულებრივად სტრიქონში ბოლო ადგილს იჭერენ (მოსდევენ უფრო დიდი ზომის მუხლებს)<sup>1</sup>.

ლექსის ზომები. სალექსო სტრიქონი (ტაეპი). მეგრული სალექსო ზომები, ქართულისაგან განსხვავებით, საკმაოდ ერთგვაროვანია. სალექსო სტრიქონი, როგორც წესი, ორმუხლიანია, მუხლის ყველაზე ხშირი ზომაა ოთხი მარცვლი. ამრიგად, გაბატონებული ტაეპის სქემაა 4/4, რაც ქართულის ე. წ. „მაღალი შაირის“ იდენტურია. ამასთან ერთად, გვაქვს სამმარცვლიანი მუხლიც, რაც განსაკუთრებით ხშირად მოსდევს ოთხმარცვლიან მუხლს და ქმნის შეიდმარცვლიან ტაეპს 4/3. ეს ზომა ქართულშიაც ჩვეულებრივია.

ძალიან ხშირია ჰეტერომეტრული სტროფები, როდესაც სტროფის ზოგი სტრიქონი რეამარცვლიანია (4/4), ზოგი კი შეიდმარცვლიანი (4/3), ან, იშვიათად, ექვსმარცვლიანი (4/2). ეს საზომები (4/4 და 4/3) არის ძირითადი და გაბატონებული მეგრულ ლექსში.

---

შეიძლება ჩაიწეროს რიცხვითი მნიშვნელობით: ერთმარცვლიანი მუხლი = 1, ორმარცვლიანი = 2, სამმარცვლიანი = 3, ოთხმარცვლიანი = 4, ხუთმარცვლიანი = 5.

<sup>1</sup> ეს აიხსნება მუხლთა დალაგებაში სიდიდის კლებადობის ტენდენციით. იხ. ჩვენი ზემოთ მითითებული წერილი.

მეგრულში იხმარება ათმარცვლიანი ტაეპიც (5/5). თუმცა ძალიან იშვიათად. ასევე ფრიად იშვიათია სხვა საზომები (იხ. ქვემოთ).

მოულოდნელია, რომ მეგრულისთვის უცხოა ზომა 5/3 (ან ინვერსიით 3/5), ე. წ. „დაბალი შაირი“, რაც ესოდენ ბუნებრივია და გავრცელებული ქართულში. ეს მნიშვნელოვანი სხვაობა გაფერმკრთალდება, თუ გავითვალისწინებთ იმ ვითარებას, რაც ქართულ დიალექტებში გვაქვს. ქართული დიალექტების ლექსთწყობის თავისებურებანი საგანგებოდ რომ იყოს შესწავლილი, ძნელი არ იქნებოდა იმის ჩვენება, რომ დასავლურ-ქართული არეალი (იმერული, გურული, აჭარული) აღმოსავლურ-ქართულისაგან განსხვავებით (ქართლ-კახური, ხევსურული...), გაცილებით ნაკლებად იყენებს „დაბალ შაირს“ და არსებითად „მაღალ შაირს“ (4/4) უქერს მზარს<sup>1</sup>. მეგრული ლექსი არა ერთ სხვა მომენტშიც ამჟღავნებს მსგავსებას ქართული ენის დასავლურ დიალექტებთან.

რვა მარცვლიანი ლექსი (სქემა 4/4):

ართი დროსი/მებადეთი/  
ელემში/ბალის ვორდი,  
მებალობა /მოსქვანდუ დო/  
ბედნიერო /დინორდი/.

ბოში, აშო /მიკოჩინი,  
სი უხანე, /ბელი ჳილი,  
ჳიჳე უჩა /ეროქი-და,  
ჩხანას ვორექ /წომოჳილი.

„ერთ დროს მებალედ  
ელემის ბალში ვოჳე,  
მებალეობა მშვენოდა და  
ბედნიერად ვიდექ (შოი)“.

„ბოჳო, აჳთ შემომხედე,  
შე უხანოე, ბელდამწვარო,  
ცოტა შაეი თუ ვარ,  
მზეზე ვარ დამწვარი“.

შვიდმარცვლიანი ლექსი (სქემა 4/3):

ჩქიმი ჳიმა, /სესია,  
ქარწვექო /თესია,  
ირო სინთე /კილაგანც  
სქან მალაზას /ჳეელცია.

„ჩემო ძმაო, სესია,  
ხედავ ამას?  
ყოველთვის სინათლე კიაფობს  
შენს წყეულ ბელელში“.

სხვა ზომის ტაეპები იშვიათია. გვხვდება ათმარცვლიანი (5/5) ტაეპებიც (მეტწილად ქართულის გავლენა ჩანს):

ნტარ მოფთხოზუდას /თოფ დო ლეკურიო,  
სუსტი მათუდას /ხე დო ბირგული,  
ათეშ გურიშენ /ეშემეოლუა,  
ეშენ ვეპიქი /გაჳირებული.

„მტარი მომდევნეს თოფითა და ხმლით,  
სუსტი მქონდეს ხელი და მუხლი,  
ამის გულისთვის ნუ შემიცოდებ,  
ამის გამო არ ვიქნები გაჳირებული“.

სინჯა მურსია/, მოსოფუნსია,  
სინჯაშ ნაბადი /მოჳოსუნსია.

„სიძე მოღისო, (არე-მარეს) მოანგრევსო,  
სიძის ნაბადი (გზას) მოხვეტავსო“.

<sup>1</sup> ე. ბარდაველიძე. ხალხური ლექსის აქცენტური თავისებურებანი, „ლიტერატურული ძიებანი“, ტ. 12, 1959 წ., გვ. 308.

სპორადულად გვხვდება ხუთმარცვლიანი ტაები სხვადასხვა სტრუქტურისა (5 და 4/1):

- |                   |                   |
|-------------------|-------------------|
| 5 — პაპა ნოღია,   | — „მღედლო ნოღიე,  |
| 5 — ლუმა სო რღია? | წუხელ სად იყავიო? |
| 5 — ოხირუსია.     | — საქურდავადო.    |
| 5 — მუ იხირია?    | — რა მოიპარეო?    |
| 5 — კაკი ცხენია.  | — კაკი ცხენიო“.   |

შდრ. ინტონაციურად სხვა ზომა, სადაც სამი ტაები ხუთმარცვლიანია, მაგრამ ეს ხუთი მარცვალი ორ მუხლად გაიგება<sup>1</sup>:

- |                          |                       |
|--------------------------|-----------------------|
| 5 4/1 უსქანეთი მა,       | „უშენოდ მე,           |
| 5 4/1 კოტანეთი მა,       | კოტიანეთი მე,         |
| 4/4 მუშოთ მოკო, მახარია, | რად მინდა, გენაცვალე, |
| 5 4/1 სქანი კირიმა       | შენი კირიმი“          |

ასევე იშვიათია ექვსმარცვლიანი ტაები 4/2 (ან 2/4) ზომისა, რომელიც ჰეტერომეტრულ სტროფში შეიძლება შეგვხვდეს, ან კიდევ აქა-იქ გამოერევა წვეილი სტრიქონის სახით:

- |                              |                        |
|------------------------------|------------------------|
| 4/2 ვო, ჩემ ცოლა, / ნანა,    | „ვო, ჩემი ცოლე, ნანა,  |
| 2/4 ოსურს / ვამუჩანა,        | ცოლს არ მომცემენ,      |
| 4/4 მუჩანინი, // მუშოთ მოკო, | რომ მომცენ, რად მინდა, |
| 2/4 ხათე / მიდამლანა         | მაშინვე წამართმევენ!“  |
| 4/2 მუ უქჰინ / წყუელს,       | „რა უქნია წყუელს,      |
| 4/2 აწ მუხულო / ვეურსა       | აწ მუხულო აღარ ამოვია“ |

ექვსმარცვლიანი ტაები, შედგენილი სამმარცვლიანი მუხლებისაგან (3/3), მეტად იშვიათია და ისიც მთლიან სტროფს კი არა ქმნის, არამედ მის რამდენიმე სტრიქონს სხვა (უფრო დიდი ზომის) ტაებებთან ურთიერთობაში:

- |                             |                           |
|-----------------------------|---------------------------|
| 3/3 კვინს, ვალუნს/მერეხანს, | „წვიმს, ელავს, დელგამა,   |
| 3/3 მუხი კუონს/ფულეკანს,    | მუხი მუხას ხლუნს,         |
| 4/3 ათუჯუა/უჩა სერს         | ამისთანა შაე ღამეში       |
| 3/3 კვიშ გორუნს/ხვერე თხას. | მწყემსი ეძებს ბრმა თხას“. |

ასეთი სტროფი (3/3) შეიძლება გაგებულ იქნეს აგრეთვე როგორც 4/3 (იხ. ქვემოთ).

თითო-ორჯო (უპირატესად ხელოვნურ) ლექსებში გვხვდება სხვა ზომაც:

<sup>1</sup> გამოკვეთილი ორი მუხლი აქ მაინც არაა. შდრ. ანალოგიური ზომა ქართულ თანამედროვე ხალხურ ლექსში:

ღეღაე, გამიშვი  
ზემო დაგვაში,

კოლექტივის და/ვეხმარები  
ჩაის დარგვაში.

4/4/2 ცოროფასი /ვაკო ეზმა/ განჩი (იხ. ზემოთ.)

- |                                |                          |
|--------------------------------|--------------------------|
| 4/7 ვო, მუთუნო/გინმორთინუასია, | „ო, რადმე გადამაქცაო,    |
| 4/7 მათშალიათ/გინმორთინუასია,  | ბულბულად გადამაქცაო,     |
| 4/7 მათშალური/ქოდმოგურაუსია    | ბულბულის (ენა) მასწავლაო |
| 4/7 დო თე ბალის/ქენმორინუასია  | და ამ ბალში დამაყენაო“   |

თავიდან ბოლომდე რეამარცვლიანი (4/4) ან შვიდმარცვლიანი (4/3) ზო-  
მით გაწყობილი ლექსები იშვიათია. განსაკუთრებით ეს შეეხება შვიდმარცვლი-  
ან (4/3) ლექსს. ცოტად თუ ბევრად დიდი მოცულობის ლექსში ეს ზომები  
შერწყმულია: ზოგი სტრიქონის ზომაა 4/4, ზოგისა 4/3.

ჰეტერომეტრული სტროფები ყველაზე ხშირად იქმნება რეამარცვლიან  
(4/4) და შვიდმარცვლიან (4/3) ტაქტთა მონაცვლეობით. დასაშვებია ამ მონა-  
ცვლეობათა ყოველგვარი კომბინაცია სტროფში, მაგრამ შედარებით უფრო  
ხშირია შემთხვევები, როდესაც კენტი სტრიქონები რეამარცვლიანია, ხოლო  
წყვილი — შვიდმარცვლიანი:

- |                          |                         |
|--------------------------|-------------------------|
| 8 სოფლარეფ / მიჩინენა —  | „სოფლელები მიცნობენ —   |
| 7 სახელ ჩქიმი / მელია,   | სახელი ჩემი — მელია,    |
| 8 ოსურეფოშ / მოსაწონი    | ქალებს მოსაწონი         |
| 7 მილ სისქვაბე, / ფერია. | მ.ქეს სილაშაზე, ფერია“. |

საერთოდ, სტროფის კენტი (არა სარითმო) სტრიქონები მეტ თავისუფ-  
ლებას იჩენენ მარცვალთრაოდენობის მხრივ, განსაკუთრებით კი მესამე სტრი-  
ქონი<sup>1</sup>, რომელიც მარცვალთრაოდენობით შეიძლება მეზობელ სტრიქონებზე  
მეტი იყოს:

- |                                  |                               |
|----------------------------------|-------------------------------|
| 7 4/3 რინაშარა/შურცია,           | „რინიგზა მოდისო,              |
| 7 4/3 რაგადი რე/ფაიცია,          | ლაპარაკია, ფაცი-ფუციო,        |
| 8 4/4 განათლება/მის გოკონი,      | განათლება ვისაც გინდათ,       |
| 7 4/3 ლარჩეასი რე/სტანცია.       | ლარჩეაშია სადგური“.           |
| 6 4/2 — გამარჯობა/დომეი          | „— გამარჯობა, დომე(ნტი)!      |
| 6 4/2 ირო ჭგირსი/ნდომე.          | ყოველთვის კარგს ნდომობ.       |
| 8 4/4 — ვამიჩქ მუთუნს/ვაკეთენქი, | — არ ვიცი რამეს ვაკეთებ,      |
| 6 4/2 ვამიჩქ დუს ვილორე!         | თუ („არ ვიცი“) თავს ვიტყუებ“. |

გვხვდება სტროფებიც, რომელთა პირველი და მესამე სტრიქონი რეამარ-  
ცვლიანია (4/4), ხოლო მეორე და მეოთხე — ექვსმარცვლიანი (4/2 ან 2/4).

- |                         |                        |
|-------------------------|------------------------|
| 8 4/4 ლებარდუშა/შალუეფო | „ლებარდუში წამსვლელები |
| 6 4/2 მიიფშითი/ართო,    | მივილილით ერთად,       |

<sup>1</sup> მესამე სტრიქონი ხშირად თავისებურებას იჩენს ქართულ ხალხურ ლექსშიც. იხ. ქ. ბარ-  
და ველიძე, ქართული ხალხური ლექსთწყობის საკითხები, თბილისი, 1960, გვ. 41.

- 8 4/4 ჩქინ პარტიას/ოხოლულუ
- 6 4/2 ხორშელ ცირა/მარო.

ჩვენს პარტიაში ერია  
ხორშელი ქალიშვილი მარო.

პეტეროპეტრულია ეს ზომაც:

- 8 4/4 გამუნონწყი/შქართუნი დო
- 5 4/1 ჭიფჩინი/მა,
- 8 4/4 ბჟა დო თუთას/ქოგურაფუ
- 5 4/1 იში კირი/მა!

„დადახაღე საზანი და  
ვიცანი მე.  
მზეს და მთვარეს დამსგავსებია  
მისი კირიმე!“.

თუმცა ეს ზომა შეიძლება გავიგოთ როგორც 4/4/4/1 — ოთხმუხლიანი-ტაეპი.

გვაქვს ცალკეული შემთხვევა, როცა სტროფის მესამე სტრიქონი ნაკლებ-მარცვლიანია, ვიდრე დანარჩენი:

- 8 ტანი მშენი/ერი ვიღუ,
- 8 ულა გიჩქუ/სი სქვერიში,
- 7 კირი/ქობლოლამუდას
- 8 სქანი ჩელა/კისერში.

„ტანი მშენიერი გაქვს,  
სიარული იცი შვლისა,  
კირი შემეყაროს  
შენი თეთრი ყელისა“.

საერთოდ, საზომები 4/4 და 4/3 მკაცრად არაა მეგრულში ერთმანეთისა-გან გამიჯნული.

საინტერესოა სხვადასხვა ზომის ტაეპთა გაერთიანება ერთ სტროფში:

- 6 ეოჯანუქი/ჩქიმ ჟარგვალს
- 8 კარ კილერო/უმინჯურო,
- 6 ჭომორთ ვირ/მარკიხოლქ,
- 7 ღურქულეს/მხიარულო.

„ეწეეარ ჩემს ჟარგვალში  
კარგამოკეტილი, უპატრონოდ,  
მოვიდა ორი მერცხალი,  
იკიკიკეს მხიარულად“.

მართალია, ასეთი სიკრულე ხშირად მოჩვენებითია, რადგან წარმოთქმობს სხვადასხვა სტილის გათვალისწინებით (იხ. ქვემოთ) ეს სტროფი შეიძლება რეა-ლიზებული იყოს გაცილებით უფრო სიმეტრიული სახით:

- 7 (ან 8) ეოჯანუქი/ჩქიმ ჟარგვალს[ი]
- 8 კარ კილერო/უმინჯურო,
- 7 (ან 8) ჭომორთ ვირი/მარკიხოლქ[ი]
- 8 ღურქულესი/მხიარულო...

მუხლებს შორის საზღვრის მოშლა და სხვადასხვა საზომთა შენაცვლება-ზოგჯერ ტაეპში მუხლთა ურთიერთშეწყობის კანონიკური სახე (4/4, 4/3) დარღვეულია, მუხლთა შორის საზღვარი მოშლილია. ეს მაშინ ხდება, როცა მუხლის სავარაუდო საზღვარი არ ემთხვევა ტაეპში რეალურად ნახმარი სიტყვის საზღვარს: სიტყვა იწყება მუხლში და მთავრდება მომდევნო მუხლში, ამრიგად მუხლის საზღვარი — ცეზურა — აღმოჩნდება ამ სიტყვის შიგნით<sup>1</sup>. მაგალი-

<sup>1</sup> ზედარებით იშვიათია შემთხვევა სიტყვის ისეთი გაკვეთისა, რომ ერთ-ერთ მხარეზე ერთი მარცვლი დარჩეს. ასეა ქართულშიც.

თად, თუ რეამარცვლიან ტაეპში (4/4) შეგვხვდა სიტყვათა ასეთი მიმდევრობა. [2+6], [6+2], [2+4+2], [2+3+3] (სადაც კვადრატულ ფრჩხილებში ჩასმული ციფრი აღნიშნავს სიტყვაში მარცვალთა რაოდენობას), ცხადია, ასეთი ტაეპი ვერ გაიყოფა ორ თანაბარ ნაწილად (4/4) სიტყვის განლეჩის გარეშე. ნაგალითად,

4/4 ჩელა, ბუსქა/ბორკილეფი,	„ჩელა, ბუსქა, შებორკილებო,
4/4 სილარბიშეშქოფილეფი,	სილარბის მიერ დაპერილეფო,
2+6 4/4 ღლასი ვეგე/ხარებუნა	გერასღროს გაიხარებუნ
4/4 სქანი მონა/მორჩილეფი.	შენი მონა-მორჩილები“.

აქ მესამე სტრიქონში ცეზურა ჰკვეთს ექვსმარცვლიან სიტყვას: პირველი ორი მარცვალი წინა მუხლს მიეკუთვნება, მომდევნო ოთხი მარცვალი კი ცალკე მუხლს შეადგენს. ასევე:

2+4+2=4/4 გური შეწუხებულ მადუ	„გული შეწუხებული მაქვს,
2+6=4/4 შური აკო/კოროფილი,	სული დარღვეული,
4/4 ღარიბ ვორექ/მდიდარს მექუნს	ღარიბი ვარ, მდიდარს მიჰყავს
4/4 ჩქიმი სქვამი/ქოროფილი.	ჩემი ღამაში შეყვარებული“.

აქ მეორე სტრიქონი ისეთივეა, როგორც ზემოთ ვნახეთ. პირველ სტრიქონში კი იკვეთება მუხლთა საზღვარზე მოხვედრილი ოთხმარცვლიანი სიტყვა („შეწუხებულ“). ასევე:

4/4 ოკუმარეს/გედირთენი,	„ღლით რომ ადგე,
4/4 თხა დო ჩხოუ/სი გეპვალი,	თხა და ძროხა შენ მოწველე,
6+2=4/4 საყვარელი/შოთი ოკო,	საყვარლისთვის უნდა
4/4 ოშ კერტცი/ლო კილო ყვალი.	ასი კერტცი და კილო ყველი“.

აქ მესამე სტრიქონში (6+2) ცეზურით იკვეთება ექვსმარცვლიანი სიტყვა.. ქართულ კლასიკურ ლექსში ასეთი მოვლენა იშვიათია, ხალხურ პოეზიაში კი უფრო ხშირი<sup>1</sup>. მეგრულში ასეთი რამ საკმაოდ ხშირად გვხვდება და საზომის სერიოზულ დარღვევად არ აღიქმება.

<sup>1</sup> განსაკუთრებით ხშირია ცეზურით სიტყვათა განკვეთა და მაღალ და დაბალ შირთა აღრევა მესტვირულ პოეზიაში. მაგალითად, შირსიტყვითა/მესტვირემ//ღმერთი მაღალი/ახსენა (5/3//5/3), ღმერთმა მოგეც/გამარჯვება//ოძელაშვილო/არსენა (4/4//5/3) და მრ. მისთ. მესტვირულ პოეზიაში საზომთა ხშირი შერევის ერთ-ერთი მიზეზი ის უნდა იყოს, რომ მესტვირული ლექსი იმდერება ხმის აწევით ყოველ კენტ მარცვალზე ასეთი შენაცვლებით: '—'—'—' და ა. შ. მაგალითად, შირ-სიტყვი-თა მე-სტვირემ — ღმერთი — მაღალი ახ-სენა!.. ასეთ პირობებში მაღალ და დაბალ შირთა შირის სხვაობა მიჩქმალულია და მესტვირეს სული არ ეშლება ორივე ზომა ერთნაირად იმდეროს (მთავარი ცეზურა ორსავე ზომას რვა მარცვლის შემდეგ აქვს). თითქოს მთელი თექვსმეტმარცვლიანი სტრიქონი დაყოფილია ქორეებად ('—') და ყურადღება არ ექცევა არა მარტო შირის სხვადასხვა ზომას, არამედ სიტყვათა შირის საზღვარსაც (-თა მე-, ლი — ახ...).

ანალოგიური ხასიათის დარღვევა მუხლთა შორის საზღვრისა, ცხადია, შვიდმარცვლიან ლექსშიც შეიძლება მოხდეს. კანონიკური მიმდევრობა 4+3 შეიძლება რეალურად წარმოდგენილი იყოს როგორც  $2+3+2=5/2$  ან  $2/5$ ,  $3/4$ . ამ დარღვევათაგან პირველი სამი ( $2+3+2$ ,  $5/2$ ,  $2/5$ ) დარღვევად არც კი აღიქმება (განსაკუთრებით  $2/5$ ). ამგვარი მიმდევრობები ( $2/5$ ,  $5/2$ ) პრაქტიკულად ფასდება როგორც  $4/3$  ზომის ტოლფასი (ამიტომაც იგი ასე ხშირი). მაგალითად,

- |                                 |                          |
|---------------------------------|--------------------------|
| 4/4 ართი კონჩი /კომორთუ დო/     | „ერთი კაცი მოვიდა და     |
| 2/5 ოსურს /გირიგენჯია/,         | ქალს გაგირიგებო,         |
| 4/4 ოსურ, მარა /მუ ოსური/,      | ქალი, მაგრამ რა ქალი,    |
| 2/5 გვალო /გაქეთენსია/.         | მთლად გაგაქეთებსო.       |
| 4/4 ათას მანათ /უარას მერჩანს/, | ათას მანეთ ფულს მოგცემს, |
| 2/5 ცხენ დო /ანანგერსია/,       | ცხენს და უხაგირსაო,      |
| 4/4 ნორჩალსი დო/გეჟუნალსი/,     | ლოგინსა და დასახურავს,   |
| 4/3 ოქრო-ვარჩხილ /ბრელსია/.     | ოქრო-ვერცხლს ბევრსაო.“   |

შვიდმარცვლიან ლექსში შეიძლება მუხლთა შორის საზღვრის დარღვევის სხვაგვარი შემთხვევაც შეგვხვდეს, მაგალითად,  $6+1$  (იშვიათად  $1+6$ ):

- |                           |                        |
|---------------------------|------------------------|
| 4/4 მაზაკვალსი/უძახუნა    | „მაზაკვარს ეძახიან     |
| 6+1 მეხვამილა/ფირი კოს... | მიხვედრილ კაცს“...     |
| 4/3 ვო, დონწყვირა/ობიშხას | „ო, დაქცეულ პარასკევს  |
| 6+1 ვალიფშქვილიო წყარს?   | წყალში არ დაიხობრჩვი?“ |

უფრო საგრძნობია რიტმის დარღვევა მაშინ, როცა საქმე გვაქვს  $4/3$  მიმდევრობის ინვერსიასთან ( $3/4$ ):

- |                         |                           |
|-------------------------|---------------------------|
| 4/3 ვო, დალია,/დალია,   | „ო, დალიანო, დალიანო,     |
| 2/5 რუხის/დონანადალი,   | რუხში დაბადებულო,         |
| 2/5 სქანი/დაბადება დღას | შენი დაბადების დღეს       |
| 3/4 რღუ თოფიშ/რამბადაია | იყო თოფების ბათქა-ბუთქი!“ |

ექვსმარცვლიან ტაეპში ( $4/2$ ) დასაშვებია ინვერსია ( $2/4$ ):

- |                    |                      |
|--------------------|----------------------|
| ო, ჩქიმ ცოლა/ნანა, | „ო, ჩემი ცოლა, ნანა, |
| ოსურს/ვამუჩანა     | ცოლს არ მომცემენს!“  |

მარცვალთა მეტ-ნაკლებობის გათანაბრება მუხლთა სხვადასხვაგვარი ტემპით წარმოთქმის გზით. მკაფიოდ გამართულ ტაეპში მარცვალთა განსაზღვრული რაოდენობა და მუხლთა მიმდევრობა დაკულია. მაგრამ ესაა იდეალური ნორმა, რომელიც არაიშვიათად ირღვევა<sup>1</sup>. ქვემოთ შევეხებით მეგრული წარმოთქმის ზოგ თავისებულებას („ორ სტილს“), რაც ტაეპში განსაზღვრული

<sup>1</sup> მეგრულ ლექსში მარცვალთა რაოდენობის დარღვევაზე და მის გასათანაბრებლად ხმოვანთა დამატება-დაკლებაზე გაკვირით მიუთითებს ი. ყიფშიძე. იხ. დასახ. ნაშრ., გვ. 0146—0147.



მარცვალთრაოდენობის დაცვისა და მუხლთა გამოყვეთის მნიშვნელოვან მარგულრიგებელ ფაქტორად გვევლინება. ამჟერად კი განვიხილავთ ისეთ შემთხვევებს, როცა ტაეპში, მის რომელიმე მუხლში მარცვალთა რაოდენობა საკიროზე მეტია ან ნაკლები და ლექსის წარმოთქმისას ეს თითქმის არ იგრძნობა ამ მუხლების სხვადასხვანაირი ტემპით წარმოთქმის გამო.

ერთ-ერთი შაირი ასე იწყება:

1+1/3 ჭეინს, ჭეინს/ჩხაპალანს,  
4/3 ძღაბ ელახე/ელაფარას...

„წეიმს, წეიმს, ეინელავს,  
გოგო ზის „ლაფაროში“...

პირველი სტრიქონი ხუთმარცვლიანია, მეორე — შეიდმარცვლიანი, მაგრამ გამოითქმის ეს ლექსი ისე, თითქოს ორივე სტრიქონი შეიდმარცვლიანი იყოს (ასეთი ზომისა 4/3). პირველი სტრიქონის ორი მარცვალი (ჭეინს, ჭეინს) აქ ცალკე მუხლს ქმნის და ფუნქციურად ტოლია მომდევნო სტრიქონის ოთხმარცვლიანი მუხლისა (ძღაბ ელახე). ეს იმიტომ ხდება, რომ ორი მარცვალი „ჭეინს, ჭეინს“ გამოითქმის დაყოვნებით, ხმოვნის გაგრძელებით (ჭეინს, ჭეინს), დროის თითქმის იმ მონაკვეთში, რაც ოთხმარცვლიანი მუხლის (მაგალითად, „ძღაბ ელახე“) გამოთქმას სჭირდება. რომ ეს ასეა, იქიდანაც ჩანს, რომ ამ ორი მარცვლის („ჭეინს, ჭეინს“) შეცვლა შეიძლება ოთხმარცვლიანა სიტყვით (ვთქვათ, ყიდოხიმე ჩხაპალანს „ზევიდან ეინელავს“). მაგრამ არ შეიძლება მისი შეცვლა ორმარცვლიანი სიტყვით (ვთქვათ, ამღლა „ღღეს“). თუ მისი ხმოვნები ხელოვნურად არ გავაგრძელებთ. მეორე მხრივ, საკმარისია ამ სტროფს დაუშვართ ორმარცვლიანი სიტყვა და „ჭეინს, ჭეინს“ უსაათუოდ უნდა წარმოითქვას როგორც თითო მარცვალი (მაგალითად, ამღლა ჭეინს, ჭეინს/ჩხაპალანს), აქ ჭეინს სიტყვაში ხმოვნის გაგრძელება დაუშვებელია, რადგან მუხლი უკვე შევსებულია (ოთხმარცვლიანია)<sup>1</sup>.

ასევე ნაკლებია სამი სტრიქონი ცნობილ სასიმღერო სტროფში:

1+1/4 ართ ვარდ გამკოპწილი,  
1+4/2 ხეს მიკინებუ თინა,  
1+1/4 შურს თის შეეუნთხუა,  
4/4 წამ-წამიშე ვიფთმინა.

„ერთი ვარდი მოვწყვიტე.  
ხელში მიჭირავს ის,  
მას ვუნოსავ,  
ყოველ წუთს ვიგონებ“.

პირველ და მესამე სტრიქონს ორ-ორი მარცვალი აკლია, მეორეს — ერთი. სინამდვილეში ამ სტრიქონთა წარმოთქმის ან სიმღერის დროს ეს ხარვეზი არ

<sup>1</sup> მსგავსი მაგალითის დაქებნა ქართულში შეიძლება:

1+1/3 წეიმს, წეიმს, /ხოშაკალავს,  
4/3 დედაბერი/ხბოს დავლავს...

სადაც ორი მარცვალი „წეიმს, წეიმს“ აღჭურვილია ოთხმარცვლიანი მუხლის ფუნქციით (და ჩვეულებრივად დაყოვნებით გამოითქმის). პირველ მუხლს რომ ორი მარცვალი დაუშვართ (ვთქვათ, „ცივა“), მაშინ მუხლი შეივსება და „წეიმს, წეიმს“ დაყოვნებით ვეღარ წარმოითქმება (ვთქვათ, „წეიმს, წეიმს, ცივა, /ხოშაკალავს...“). მარცვალთა ამგვარი დაცვება აქ უთუოდ ემსახურება გარკვეული ექსპრესიული მხარის გადმოცემას, რაც ჩვენი მსჯელობის საგანი არაა.

იგრძნობა. ამ სტრიქონთა გათანაბრება სულ ადვილია ხმოვნის დართვით (ართი ვარდი... ხესი მიკინებუ, შურსი თისი და მისთ.). ან კიდევ ხმოვანი გრძლად წარმოითქმის (ართ ვაარდ... ხეეს მიკინებუ, შუურს თისის...). ეს ლექსი ჩვეულებრივად სწორედ ასე წარმოითქმის და იმღერება (ხმოვანთა გაგრძელებით). ექსპერიმენტი რომ ჩავატაროთ, და ვთქვათ, პირველ სტრიქონს ორი მარცვლი დავემატოთ (მაგალითად, შარას ართ ვარდ/გამგოაწილი „გზაში ერთი ვარდი მოვწყვიტე“...) მუხლი შეივსება, მაგრამ ახლა კი შეუძლებელი გახდება როგორც ხმოვნის გაგრძელება (ართ ვაარდ), ისე ხმოვნის დამატებაც (ართი ვარდი).

ამავე მიზეზის გამოა, რომ ცნობილი სუფრული სიმღერა „გეშვია, გეშვია“ („დალიეო, დალიეო“) იმღერება (და იბეჭდება კიდევც!) ორი ხმოვნით „გეეშვია, გეეშვია“, ე. ი. ფაქტიური ზომა 3/3 შეცვლილია საჭირო ზომით 4/4.

რალაც ანალოგიური რამ შეინიშნება მაშინაც, როდესაც რეამარცვლიანი (4/4) ტაეპებისაგან შედგენილ სტროფში აღმოჩნდება შეიღმარცვლიანი ტაეპა (3/4). ამგვარი ტაეპის სამმარცვლიანი მუხლი თანხმოვანზე უნდა იყოს დაბოლოებული (თუ რატომ, ამის შესახებ იხ. მეტყველების ორ სტილთან დაკავშირებით). მაგალითად,

4/4 ელესია, მელესია,  
3/4 ჩხომ კოფეს/ლელესია,  
4/4 ვირ ოსური/მივი მეჩუ.  
4/4 ჩქინი ვიო/ყვირესია.

ჟელესია, მელესია,  
თევზ დაიპირეს ლელეშო.  
ორი ცოლი ვინ მისცა  
ჩვენს ვიო ბრმასაო“.

აქ „ჩხომ კოფეს“ უდრის პარალელურად შესადლებელ ოთხმარცვლიან მუხლს — ჩხომ კოფესი (ან ჩხომი კოფეს). რომ ეს ასეა, იქიდან ჩანს, რომ ამ ვითომ სამმარცვლიანი მუხლის შეცვლა არ შეიძლება ნამდვილად სამმარცვლიანი სიტყვით (ა, ე, ო-ზე დაბოლოებული სამმარცვლიანი სიტყვით). მაგალითად, ასეთი სიტყვებით „ჩა გეშუ ღელესია“ („ხე ძეეს ღელეშო“).

გვაქვს საპირისპირო შემთხვევებიც, როცა სტრიქონში ან მუხლში მარცვალთა რაოდენობა საჭიროზე მეტია. მაგალითად,

5+4 ყოროფა ირფელს/ქორღოლანსი  
4/4 შეგიწუხებს/შურ ღო გურსი...

„სიყვარული ყველაფერს გიზამს,  
შეგიწუხებს სულსა და გულს“...

5+4 ღიდა ღო მუმა/ოცადუნა  
4/3 მანგიორიშ/გორუსა,  
4/4 მანგიორი/მიპონენი,  
2/5 მითა/მომიწონუანს.

„ღედა და მამა ცდილობენ  
მაგიერის მოძებნას,  
მაგიერი რომ მოვიყვანო,  
არავინ მომიწონებს“.

4/4 ნანა, შური, მუქ მალოლუ,  
5/4 ჩიჩი ბოშიქ/დომადორუ...

„ღედა, სულო, რა დამემართა,  
გლახაკმა ბიკმა მომატუა“.

5+4 „ოსურო მალმა/ყუნია“ ღო  
3+5 ვარაქ/ვამარაგადუ...

„ცოლად გამოყვევიო“ ღო  
უარი ვერ ვუთხარი...“

4/4 ცხენი შურო/ვაგიოთიქე  
5+3 ინეფიმ შონერ/ნაბადის.

„ცხენი სრულებით არა ჩანს  
მათი სვანერი ნაბადის ქვეშიდან“.

6+4 კოლონას მინულებ/მარანიშა,  
4/4 გეშულუწუ/სუმ ლაგვანი...

„კოლო შესულა მარანიშა,  
ამოუწრღჳეს სამი ქვეერი...“

ასეთ შემთხვევაში ზედმეტი მარცვალი ფაქტობრივ არ წარმოითქმის. მის დასაძლევად რამდენიმე საშუალება არსებობს. ერთი მათგანია ვიწრო ხმოვნების რედუქცია, აგრეთვე მეზობლად მდგომ სწოვანთაგან ერთ-ერთის გაუმარცვლოვნება. მაგალითად, ჩიჩიე ბოშიქ/დომალორუ გამოითქმის როგორც ჩიჩიე ბოშიქ/დომალორუ (ე. ი. ტაეპის რეალური ზომაა არა 5/4. არამედ 4/4) ასეთი შემთხვევები ქვევით გვეჩვენება განხილული. იქ, სადაც ამგვარი საშუალებებით მარცვალთა თანაბრობის დაცვა ვერ ხერხდება, გამოყენებულია ზედმეტი მარცვლის მქონე მუხლის სწრაფი წარმოთქმა, რითაც ეს ზედმეტმარცვლიანი მუხლი დროის იმავე მონაკვეთში წარმოითქმის, რაც „ნორმალური“ მუხლის წარმოთქმას დასკირდებოდა. ასეთი წარმოთქმისას ზედმეტმარცვლიანი მუხლის ესა თუ ის ბმოვანი სანახევროდ გამოითქმის, უმარცვლოდ, მაგალითად, ცორ[ო]ფა ირფელს (როგორც ოთხი მარცვალი), დიდა დო მ[უ]ქმა, ოს[უ]რო მალმაჯენია, ვარაქე ვამარაგადუ, [ი]ნეფიმ შონერ ნაბადის, კოლონას მინ[უ]ლებ...

შედარებით იშვიათად მარცვალნაკულ მუხლში (და ტაეპში) საკირო მარცვალთაოდენობის მისაღებად დასაშვებია უფუნქციო ხმოვნის ჩართვა (გ, უ), რომელიც თიშავს თანხმოვანთა კომპლექსს (არაპარმონიულს): ბრელა // ბგრელი // ბურელი „ბერი“, სამშობლო // სამშობულო, თათმანი // თათუმანი „წინდა“, სირმა // სირუმა „სირმა“, სიზმარი // სიზუმარი „სიზმარი“...

ამგვარი მობილური წარმოთქმა სიტყვებისა და მუხლებისა, როგორც ეტყობა, არაა მხოლოდ მეგრულისათვის დამახასიათებელი თვისება. საკიროების შემთხვევაში ასეთ ხერხს მიმართავს, მაგალითად, გურულიც. ამიტომაც, რომ სრული სტილით ჩაწერილი გურული (ან მეგრული) ლექსი ზოგჯერ ვერსიფიკაციის ნორმებს არღვევს. მაგრამ ადგილობრივ ეპოზზე გამოთქმულ ამავე ლექსში ეს დარღვევა თითქოს არც კი შეიმჩნევა. ასეთ შემთხვევაში, როგორც ჩანს, ლექსის ზომა, მისი რიტმი „ასწორებს“ არაკანონიკური წყობის სტრიქონს.

იქმნება შთაბეჭდილება (რაც, ვფიქრობთ, სინამდვილეს შეეფერება), რომ მეგრულ ლექსში დიდი როლი (უფრო მეტი, ვიდრე საქართველოს სხვა კუთხეთა ხალხურ პოეზიაში) ენიჭება ერთგვარ „რიტმულ იშპულსს“, რომელიც ასწორებს, ნორმის ყალიბში აქცევს ამა თუ იმ სტრიქონის ვერსიფიკაციულ უზუსტობას. ამ „იშპულსის“ თანახმად, არაკანონიკური მუხლი კანონიკური ხდება: საკიროების მიხედვით მუხლს ემატება ან აკლდება მარცვალი, სიტყვა ნაწილდება მუხლთა შორის, ღდება ხმოვნის დაგრძელება ან მარცვლოვანობის რედუქცია. ამიტომაც, რომ მეგრული ლექსის შესახებ მსჯელობა მხოლოდ

ჩაწერილი (მით უფრო — არაზუსტად ჩაწერილი) ტექსტის მიხედვით ხშირად ძნელდება: საჭიროა ლექსის რეალური წარმოთქმის გათვალისწინება<sup>1</sup>.

წარმოთქმის ორი სტილი. მეგრული ლექსის სტრუქტურა ძნელი გასაგები იქნება, თუ არ გავითვალისწინებთ მეგრული მეტყველების ერთი თავისებურება, რაც გარკვეული მიზეზების გამო პოეზიის ენაშიც მეტად ფართოდ გამოყენებული. მხედველობაში გვაქვს ის გარემოება, რომ სიტყვის აბსოლუტურ ბოლოში თანხმოვნის მომდევნოდ შეიძლება დამატოს ვიწრო ხმოვანი (ო, ზ, უ) და პირიქით — თუ სიტყვა ბოლოვდება ვიწრო ხმოვნით (ო, ზ, უ), ეს ხმოვანი ფაკულტატურად შეიძლება მოიკვეციოს. ამ მიზეზთა გამო მარცვალთ-რაოდენობა სიტყვაში მოზილური ხდება. რამდენადაც მეგრული ლექსისათვის (ისევე, როგორც ქართული ლექსისათვის საერთოდ) მთავარ მარჯვნივებულ საწყისს წარმოადგენს გარკვეული მარცვალთრაოდენობის მუხლთა ურთიერთ-შეხამება (მიწყობა) და მათი კანონზომიერი მონაცვლეობა სალექსო სტრიქონებში, ადვილი გასაგებია, თუ რაოდენ ღრმა ცვლილებების მოხდენა შეუძლია განსახილველ წესს ლექსის აგებულებაში.

დგინდება გარკვეული კანონზომიერებები:

1. თუ სიტყვა (ნებისმიერი სიტყვა, მისი ნებისმიერი ფორმა) ბოლოვდება თანხმოვნით, მას მუდამ შეიძლება დაერთოს ხმოვანი *ო* (ზუგდიდურ კილოკავში *ო-ს* ნაცკლად შეიძლება დაერთოს ნეიტრალური<sup>2</sup> ხმოვანი *ე*), ან კიდევ *უ* (*ო-ს* პარალელურად). ეს უკანასკნელი (*უ*) უფრო ხშირად მაშინა გვაქვს, როცა სიტყვა *ს-ზე* ბოლოვდება<sup>3</sup>:

ამოსავალი ფორმა

კოჩიშ „კაის“  
კოს „კაც“  
დიდათ „დედით, დედად“  
დიდაქ „დედამ“  
ქარუნს „წერს“  
ქარუნთ „წერთ“  
თაქ „აქ“

ხმოვანდართული ფორმა

კოჩიში  
კოსი (//კოსე, კოსუ)  
დიდათი (//დიდათე)  
დიდაქი (//დიდაქე)  
ქარუნსი (//ქარუნსუ//ქარუნსე)  
ქარუნთი (//ქარუნთე)  
თაქი

1 შემთხვევითი არაა, რომ მეგრული ლექსწყობის არა ერთი თავისებურება გამოძახილს ჰქონდა ქართლის დასავლურ დიალექტებში. ანალოგიური ხასიათის მსგავსება, როგორც ცნობილია, შეინიშნება ენაშიც, ეთნოგრაფიაშიც... ქართულ კლასიკურ ლექსში, აგრეთვე მოწვევით გაშვებული ქართლ-კახურ ან ხევსურულ პოეზიაში ასეთი ლაბილური გამოთქმა მუხლებისა არაა ჩვეულებრივი მოვლენა.

2 ამ ხმოვანს ხშირად უწოდებენ „ირაციონალურ ხმოვანს“, რაც უხერხულია: ამ მეგრული-ლისათვის (და მრავალი სხვა ენისათვის) სრულებით ჩვეულებრივ ხმოვანში „ირაციონალური“ არაფერია, ფაქტობრივ ეს ხმოვანი წარმოადგენს შუა რიგის მაღალი აწეულობის (ე. ი. ვიწრო) ხმოვანს. რიგის მხრივ ე კორელატია ა-სი (ე. ი. არც პალატალურია და არც ლაბიალური, ამ მხრივას ის ნეიტრალური), ხოლო სივიწროვის მხრივ ი-სა და უ-ს გვერდით დგას.

3 შდრ. უ-ს დართვა ქართულ დიალექტებში (უპირატესად ქვემო იმერულში): რასუ, მასუ, აქვ/სუ, წერსუ... აქ შეიძლება მეგრულის გაელენაც იყოს. ანალოგიური მოვლენა გვაქვს ლეჩხუმურშიც (ოლონდ პაუზის დროს). *იხ. შ. ძ ი ძ ი გ უ რ ი*, ქართული დიალექტოლოგიური ძიებანი, თბილისი, 1970, გვ. 183.

ამ კანონის მოქმედების შედეგად სიტყვის მარცვალთაროდენობა იზრდება ერთი ერთეულით.

თავისი ფუნქციით ეს მავრცობი ი (ზ, უ) ქართულის ე. წ. ემფატიკური ხმოვნის ა-ს (და ი-ს) მსგავსია, შდრ. ქართ. დედამ // დედამა, დედის // დედისა, ოქროს//ოქროსი, აქ//აქა... მაგრამ მეგრულში ამ მავრცობთა გამოყენება აბსოლუტურია, ქართულში კი შეზღუდულია (მაგალითად, ზმნებთან ა-ს ხმარება არაა ბუნებრივი — წერსა, ვწერთა... ემფატიკური ხმოვანი ქართულში არ იხმარება რიგ სხვა შემთხვევებშიც)<sup>1</sup>.

2. მეორე კანონზომიერება საპირისპირო ხასიათისაა: თუ სიტყვა ბოლოვდება ვიწრო ხმოვნით (ი, ზ, უ), ამ სიტყვის ხმარება შეიძლება ბოლოკიდური ვიწრო ხმოვნის მოკვეთითაც, რის გამოც სიტყვა ერთი მარცვლით მოკლდება. ასე შეიძლება მოუვიდეს თანხმოვნის მომდევნო ვიწრო ხმოვანს განუჩრჩევლად მისი ფუნქციისა (მაგალითად, ი ხმოვანს სახელობითში, უ ხმოვანს — ზმნის მესამე პირის სუბიექტის ნიშანს და სხვ.).

ამოსავალი ფორმა

პარალელური კვეცილი ფორმა

ძღაბი „გოგო“	ძღაბ
ბოში „ბიბი“	ბოშ
ოსური „ქალი“, „ცოლი“	ოსურ
ლოქარი „დაწერე“	ლოქარ <sup>2</sup>
კოჩეფი „კაცები“	კოჩეფ
რჩინუ „მოხუცი“	რჩინ
კატუ „კატა“	კატ
ლოქარუ „დაწერა“	ლოქარ <sup>2</sup>
ქარუნდუ „წერდა“	ქარუნდ
ტიბუ „თბილი“	ტიბ
მოკყუდუ „პატარძალი“	მოკყუდ
დუჭვილუ „მოუკლავს“	დუჭვილ
ეჩიებუ „ესაუბრება“	ეჩიებ

თანხმოვნის მომდევნო ვიწრო ხმოვანი სიტყვის ბოლოში არ იკვეცება ა გარკვეულ შემთხვევებში:

ა) როდესაც ი, უ, ზ-ზე დაბოლოებული სიტყვა ერთმარცვლიანია: სი „შენ“, ეი „ზევით“, თუ „გოჭი“, წყუ „ჭა“, ძუ „ძევს“...<sup>3</sup>.

ბ) როდესაც სიტყვის ბოლოკიდური ვიწრო ხმოვანი წარმოშობით (და ფა-

<sup>1</sup> დიალექტებში (მაგ. რაქულში) მავრცობი ა ხშირია ზმნებთანაც. იხ. შ. ძ ი ძ ი გ უ რ ი, იქვე, გვ. 242.

<sup>2</sup> ლოქარ შეიძლება იყოს კვეცილი ფორმა როგორც ლოქარუ „დაწერა“, ისე ლოქარი „დაწერე“ ზმნისა.

<sup>3</sup> გამოწვევას „ყოფნა“ ზმნის ფორმები: რდი „იყავ“, რდუ „იყო“, რომელთა ბოლოკიდური ხმოვანი იკვეცება და დარჩენილი რდ კომპლექსი მიეკედლება წინამავალ სიტყვას, ხმოვანზე დაბოლოებულს, მაგალითად, თავირდ „აქ იყო“//თავი რდუ, ან თავირდ „აქ იყავი“//თავი რდი...

კულტურად გამოთქმითაც) ორკეცია, ვრძელია. გამოთქმაში ასეთი ხმოვანი შეიკლება მოკლე (resp. ჩვეულებრივი, ერთი) ხმოვნით შეიცვალოს, მაგრამ სრული დაკარგვა არ ხდება. ასეთია, მაგალითად, ქოფთხიი// — ქოფთხი „ვთხოვე“ (მაგრამ არ შეიძლება — ქოფთხ), ქოფთხუ// — ქოფთხუ „თხოვა“, ქალოცუუ// — ქალოცუ „დაცვივდა“<sup>1</sup>.

გ) ვიწრო ხმოვნის მოკვეცა შედარებით ნაკლებადაა გავრცელებული პაუზის წინ (მაგალითად, ფრაზის ბოლოს). მაგალითად, შეიძლება ითქვას თე კოჩ რჩინ ცოფე „ეს კაცი მოხუცი ყოფილა“ (// თე კოჩი რჩინშ ცოფე), მაგრამ შედარებით იშვიათია თე კოჩ ცოფე რჩინ ან რჩინ ცოფე თე კოჩ. ასევე შეიძლება ითქვას ჯას კატ გილახე „სეზე კატა ზის“ ან კატ გილახე ჯას, მაგრამ არაა მთლად ბუნებრივი. ჯას გილახე კატ.

ვიწრო ხმოვანთა დართვა და მოკვეცა თანხმოვანზე დაბოლოებულ სიტყვათა ბოლოში ერთნაირადაა დამახასიათებელი როგორც ჩვეულებრივი სასაუბრო ენისათვის, ისე ლექსის ენისათვის. მეტიც, სასაუბრო მეტყველებაში კვეცილი ფორმები უფრო ხშირია (შეიძლება ამის ერთი მიზეზი იყოს მეგრული მეტყველების ტემპის საერთო სისწრაფე).

ენის ნორმის თვალსაზრისით როგორც კვეცილი. ისე სრული ფორმები კანონზომიერია და ისინი თავისუფლად ენაცვლებიან ერთმანეთს. არაფერს ვამბობთ იმაზე, რომ ფრაზაში ზოგი სიტყვა შეიძლება სრული სტილით იყოს წარმოთქმული, ზოგი კი — კვეცილი ფორმით. მაგალითად, შეიძლება ითქვას ეირი რჩინუ კოჩი მურსი „ორი მოხუცი კაცი მოდის“, აგრეთვე: ეირ რჩინ კოჩ მურს. ასევე: ეირი რჩინ კოჩ მურს, ეირ რჩინ კოჩი მურსი და ა. შ.

### მ ა გ ა ლ ი თ ე ბ ე :

#### სრული სტილი

#### კვეცილი სტილი

ძღაბი (ბოში), აშო მორთი!

„გოგო (ბიკო) აქ. მოდი!“

სერითი ჩხუში მინჯესი ქომურთუმუ

„ღამით ძროხის პატრონი მოსულა“

თიში ღიდასი ღუღი აჰუღუ

„შის ღედას თავი ტკიოდა“

სუმე ჯოღორი ქოძირუნი...

„სამი ძალი რომ ნახა...“

ძღაბ (ბოშ), აშ(ო) მორთ!

სერით ჩხუშ მინჯესი ქომურთუმ

(//ქომურთუმუ).

თიშ ღიდას ღუღ აჰუღ (//აჰუღუ)

სუმ ჯოღორ ქოძირუნ...

განხილული მოვლენის მიხედვით შეიძლება ვილაპარაკოთ წარმოთქმის ორი სტილის შესახებ მეგრულში: სრული (უკვეცილი) და უსრული (კვეცილი)

<sup>1</sup> შევნიშნავთ, რომ, როდესაც „გრძელი“ ხმოვანი შეცვლილია უბრალო (მოკლე) ხმოვნით, მხვეილი იდიოლექტურად შეიძლება თავის ძველ ადგილზე დარჩეს, და, ამდენად, ბოლოდან მეორე მარცვალზე აღმოჩნდეს, მაგალითად, ქალოცუუ//ქალოცუ „დაცვივდა“, ქო-მოთხიი//ქომოთხი „მათხოვე“ (შდრ. ქომოთხი „მოჰკიდე ხელი“). იხ. ჩვენნი „მხვეილის ადგილის შესახებ მეგრულში“. კრებული „თბილისის უნივერსიტეტი გიორგი ახვლედიანს“, თბილისი, 1969.

სტილის შესახებ. სრული სტილი უპირატესად იხმარება მეტად დინჯი, ნელი მეტყველების დროს ან როდესაც მთქმელი ჩასაწერად კარნახობს. ჩვეულებრივ სიტუაციაში კი კვეცილი სტილი უფრო ხშირია. იქნებ ამის გამოა, რომ ჩაწერილ ტექსტებში ხშირია სრული სტილით გაფორმებული ფრაზები, მაშინ, როდესაც რეალურად ეგვევ ფრაზები კვეცილი სტილით ისმის. პროზაში კვეცილი და სრული სტილის აღრევა გაუგებრობას არ იწვევს, ლექსის ჩაწერისას კი ასეთი აღრევა ხშირად უხერხულობას ქმნის. ლექსში, იმას მიხედვით, თუ როგორია მისი სტრუქტურა, ტაქსის მუხლიაზრევი შედგენილობა, მარკველივანობა... თითოეული ხმოვნის დაკლებამ ან დამატებამ შეიძლება ლექსი დაარღვიოს. ამ სტილთა ხმარების შეუფარდებლობა კონკრეტული ტაქსის მოთხოვნებთან იწვევს იმას, რომ ჩაწერილ ლექსში გრამატიკული შეცდომა არაა, ენის თვალსაზრისით ყველაფერი რიგზეა, მაგრამ ლექსი მაინც არ გამოდის: ლექსის თვალსაზრისით ჩანაწერი ზუსტი არაა. მოვიყვანთ მხოლოდ ერთ მაგალითს<sup>1</sup>. პოპულარული ლექსის „დიდოუ, ნანა“ დასაწყისი ასე შეიძლება ჩაიწეროს:

- |   |                |
|---|----------------|
| 4—5 ვითოერი წანერი ვორდი,                     | (9 მარცვალი)   |
| 6—4 მოკოდუ ტორონჯი პკოფიკონი.                 | (10 მარცვალი)  |
| 5—4 ჩქიმი დუდიში გემუანო                      | (9 მარცვალი)   |
| 4—7 ჩქიმი ხეთი მოკოდუ მობრდიკონი <sup>2</sup> | (11 მარცვალი). |

ეს ლექსი ასე ჩაწერილი უხეიროა როგორც ლექსი, თუნცა გრამატიკულად ჩანაწერი სწორია. სინამდვილეში ეს ლექსი წარმოითქმის და იმღერება (ე. ი. უნდა ჩაიწეროს კიდევ) ასე:

- |                                |
|--------------------------------|
| 4/4 ვითოერი/წანერ ვორდი,       |
| 4/4 მოკოდ ტორონჯ/პკოფიკონი,    |
| 4/4 ჩქიმ დუდიში/გემუანო        |
| 4/4 ჩქიმ ხეთ მოკოდ/მობრდიკონი. |

ესაა მწყობრი აგებულების რეამარცვლიანი ლექსი, თითოეული სტრიქონი შედგება ორი ოთხმარცვლიანი მუხლისაგან (4/4). რა შეიძლება? მარცვალთა რაოდენობა სტრიქონებში გათანაბრდა, მუხლები გამოიკვეთა. როგორ მოხდა ეს? რიგი სიტყვა წარმოდგენილ იქნა კვეცილი ვარიანტით (წანერ, მოკოდ, ტორონჯ, ჩქიმ, ხეთ), რიგი სიტყვა კი დარჩა სრული ფორმით (ვითოერი, ვორდი, პკოფიკონი...).

სხვა შემთხვევაში, სხვა ლექსში ან სტროფში შეიძლება სათანადო სტრუქტურის მისაღებად გამოყენებული იყოს სხვა საშუალებებიც (იხ. ქვემოთ).

მეტყველების სრულ და კვეცილ სტილთა თავისუფალი მონაცვლეობა, რაც მეგრულისათვის საერთოდ და დამახასიათებელი, ფართოდ გამოყენებული

<sup>1</sup> ჩვენ ვანგებ არ მოგვყავს მაგალითები სხვადასხვა დროს გამოცემული ტექსტებიდან. ლექსის არაზუსტი ჩაწერის საილუსტრაციო მასალას ყოველ გვერდზე შევხვდებით.  
<sup>2</sup> თარგმანი: თორმეტი წლისა ვიყავი, მინდოდა მტრედი დამეჭირა, ჩემდა („თავის“) სასიამოვნოდ, ჩემი ხელით მინდოდა გამეზარდა.

ლექსის ენაში სასურველი მარცვალთრაოდენობის მქონე მუხლის მისაღებად: თუ სიტყვა გრძელია და მუხლში ვერ თავსდება, მას შეიძლება ბოლო ვიწრო ხმოვანი მოეკვეცოს, პირიქით, თუ თანხმოვანზე დაბოლოებული სიტყვა მოკლეა და მუხლს ვერ ავსებს, მას შეიძლება ვიწრო ხმოვანი დაემატოს და მისთ. ხმოვნის დაკლება-დამატებას ლექსში არეგულირებს ლექსის საჭიროება — მუხლის შევსება მარცვალთრაოდენობის საჭირო ზომამდე. ამიტომაც, რომ, თუ, მაგალითად, საჭიროა ოთხმარცვლიანი მუხლი და ეს მუხლი მთლიანად შევსებულია, მას არ შეიძლება მარცვალი დაემატოს, რადგან ოთხმარცვლიანის ნაცვლად ხუთმარცვლიან მუხლს მივიღებთ. მაგალითად, სტროფში:

ართი კოჩი/ქომორთუ ღო  
ოსურს/გირიგენჭია,  
ოსურ, მარა/მუ ოსური,  
გვლო/გავეთენსია...

„ერთი კაცი მოვიდა და  
ქალს გაგირიგებო,  
ქალი, მაგრამ რა ქალი,  
მთლად გააკეთებსო...“

მესამე სტრიქონის პირველ მუხლში არ შეიძლება სიტყვას „ოსურ“ დაემატოს ი, რადგან მუხლი ხუთმარცვლიანი გამოვა (ოსური მარა/მუ ოსური). პროზაში ასეთი დამატება ხმოვნისა, რა თქმა უნდა, დასაშვებია.

შდრ. ასევე:

ვაი, შური საყვარელი,  
მუ კოჩ ქორე შყყარელი,  
აქას ფერი ვეგინოძუ,  
ჩქიმ ცოროფილ ვაშარენი.

„ვაი, სულო საყვარელო,  
რა ხალხია შეყრილი,  
არც ერთს ფერი არ აძეის,  
რადგან ჩემი შევყარებული (მათ შორის)  
არა ღვას.“

აქ არ შეიძლება კვეცილი ფორმები კოჩ, ჩქიმ, ცოროფილ... შეიცვალოს სრული ფორმებით: კოჩი, ჩქიმი, ცოროფილი, რადგან ლექსი დაირღვევა.

ასეთი შემთხვევა გვაქვს თითქმის ყოველ ლექსში, მეტიც — ყოველ სტროფში და ყოველ ტაქტშიც კი. აქედან ცხადი უნდა იყოს, თუ რაოდენ არსებითი ხანიათისაა მეგრული ლექსისათვის წარმოთქმის ორი სტილის გათვალისწინება.

არ შეიძლება საკითხის დასმა, თუ რომელი სტილი ჯობია: ორივე ბუნებრივია და დასაშვებია, მეტყველებაში ორივეა გამოყენებული და ტექსტის ჩაწერისას (განსაკუთრებით ლექსის ჩაწერისას)! ამ გარემოებას ანგარიში უნდა გაეწიოს.

„გრძელი“ (ორმაგი) ხმოვნების საკითხი. მეგრულში საკმაოდ ხშირია „გრძელი“ ანუ ორმაგი ხმოვნების ხმარება<sup>1</sup>. ისტორიულად ასეთი ხმოვნები

<sup>1</sup> ვინეორენტ. რომ გამოთქმის ორი სტილი ლექსისათვის კი არ არსებობს და ლექსში გამოყენებული „პოეტური ლიენცია“ კი არაა, არამედ ენაში საერთოდ არსებული მოვლენა, რომელიც თავს იჩენს ლექსშიც, სადაც ლექსის სპეციფიკის გამო მარცვალთა დამატება-დაკლება აღარაა ფაქულტატური.

<sup>2</sup> „გრძელი“ (ორმაგი) ხმოვნების შესახებ მეგრულში იხ. ი. ყ ი ფ შ ი ძ ე, ხსენ. ნაშრ., გვ. 101; ა რ ნ. ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა, ჭანუისი გრამატიკული ანალიზი, თბილისი, 1936, გვ. 20; მ. ხ უ ბ უ ა, მეგრული ტექსტები, თბილისი, 1937, გვ. XIV.



მუდამ მეორეულია. „გრძელი“ ხმოვანი დაუდგარია, ფაკულტატურად ის მუდამ შეიძლება მოკლე ხმოვნად (ცალმაგ ხმოვნად) გამოითქვას. მაგალითად,

ქოვოთხი//ქოვოთხი  
ლიითასუ//ლიითასუ  
ქოთხუ//ქოთხუ  
ღუთასუ//ღუთასუ  
ვაათასუ//ვაათასუ  
ქააკონო?//ქაკონო?  
ვობირეუ//ვობირე  
გეეშერუ//გეშერუ

„ვათხოვე“  
„ლიითესა“  
„თხოვა“  
„ღაუთესა“  
„ვერ დათესა“  
„უნდა?“  
„ვამღერე“  
„გავიღა“<sup>1</sup>.

„გრძელ“ ხმოვანთა გრძლად წარმოთქმა უფრო ხშირია ზუგდიდურ კილო-კავში, მოკლედ წარმოთქმა — სენაკურში, თუმცა მოკლედ წარმოთქმა ზუგდიდურშიც დასაშვებია, ხოლო გრძლად წარმოთქმა — სენაკურშიც<sup>2</sup>.

„გრძელი“ ხმოვნები მიღებულია გარკვეული ფონეტიკური პროცესების შედეგად, აგრეთვე მორფემათა შეხედრის ნიადაგზე. ამჟამად ეს საკითხი არ გვიანტერესებს. ამგვარ „გრძელ“ (ორმაგ) ხმოვანთა მოკლედ წარმოთქმა განვიოთარების უფრო ახალ ეტაპს ასახავს. ეს პროცესი თავს იჩენს ნასესხებ სიტყვებშიაც, მაგალითად, ქართ. გაათავა — მეგრ. \* გაათავუ — გაათუუ// — გაათუ.

ლექსის სტრუქტურასთან დაკავშირებით „გრძელი“ ხმოვნების განხილვა იმიტომაც საჭიროა, რომ ამგვარი ხმოვნის შემცველი სიტყვა ფაკულტატურად ლექსის საპირობისდა მიხედვით შეიძლება წარმოითქვას როგორც ერთი ან როგორც ორი ხმოვანი<sup>3</sup>. მაგალითად, დასაშვებია დებლორი // დებლორი „მოვტყუვი“, ვენდვათ//ვენდვათ „არ ენდოთ“, ლიიპკვი დო ლიიფხალი//ლიიპკვი დო ლიიფხალი „დავიწვი და დავიდაგე („დავიხბუყე“), მაგრამ ქვემოთ მოყვანილ ნაწყვეტებში ლექსის ზომა მოითხოვს ორმაგი ხმოვნის მქონე ვარიანტის ხმარებას (და ასეც გამოითქმის).

დებლორი ბლანაჟ,  
ვენდი შარებლისია...  
ვენდვათ შარებელს...  
ლიიპკვი დო ლიიფხალი,  
მონტუ დახიირიში ალი...

„მოვტყუვი ბეწვი,  
ენდე მაქანკლსიაო“...  
„არ ენდოთ მაქანკალს“...  
-დავიწვი და დავიდაგე,  
მიკილია ცეცხლის ალი“...

1 „გრძელი“ ოთ არ გვხვდება, რადგან თანახმად ცნობილი წესისა ოო—აა//ა „გამონაკლო-ლია“, მაგ., ეჩ+დო+ოთხი „ოც+და+ოთხი“. რიცხვით სახელებში ოცს ზევით შემადგენელ ელემენტები ცალ-ცალკე აღიქმება, რის გამოც ხმოვანთა შერწყმა არ ხდება. შდრ. ვით+დ/ო+ამში—ვითა+ამში „16“ და ეჩ+დო+ამში „26“. ასევე ვით+დ/ო+ოთხი—ვითა(ნ)-ოთხი „14“, მაგრამ ეჩ+დო+ოთხი „24“.

2 „გრძელ“ ხმოვნებს ზოგჯერ სავანებო ნიშნით ვადმოსცემენ (ნი, ა, ე და მისთ.) ზოგჯერ .ი ორმაგი დაწერილობით (ნი, აა, ეე და მისთ.). ფონოლოგიურად „გრძელი“ ხმოვანი უდრავს ორ ხმოვანს და, ამრიგად, ცალკე ფონემას არ წარმოადგენს.

3 შდრ. ი. ყი ფ შ ი ძ: ხმოვანთა სიგრძე-სიმოკლეს მეგრული ლექსისათვის არსებითი მნიშვნელობა არა აქვსო. ხსენებული ნაშრომი, § 157, გვ. 0146.

შღრ. დაჩხირს დიპქვი // დიიპქვი „ცეცხლში დავიწვი“, მა დებლორი // დებლორი თე საქმეს“ „მე მოვტყუვდი ამ საქმეში“...

ხმოვნის გაუმარცვლოვნება. ორი ერთმანეთის გვერდით მდგარი იდენტური ხმოვანი, როგორც ვნახეთ, ფაკულტატურად გამოითქმის როგორც ორი, ან როგორც ერთი ხმოვანი. არაიდენტურ ხმოვანთა უშუალო მენობლობა ცოტათი განსხვავებულ ვითარებას გვიჩვენებს. ერთ-ერთი მთავარი ფონეტიკური პროცესი არაიდენტურ ხმოვანთა შეხვედრისას არის ასიმილაცია, ხმოვანთა შერწყმა, რაც იძლევა „გრძელ“, ორმაგ ხმოვანს. შემდგომ ეს ორმაგი ხმოვანი ისევე შეიძლება გამოითქვას, როგორც საერთოდ ორი ხმოვანი, ე. ი. მოკლედ ან გრძლად (ფაკულტატურად). მაგალითად, ვა-ოკო-ვააკო-//ვაკო „არ უნდა“, ქო+ოკო-ქააკო-//ქაკო „კი უნდა“, \*გო-იქკირუ — გიიქკირუ // — გიქკირუ „გაიჭრა“, გო-უქკირუ — გუუქკირუ // გუქკირუ „გაუჭრა“, ვა-იქკირუ — // ვეიქკირუ — ვეიქკირუ „არ გაიჭრა“ და მისთ.¹.

ორი არაიდენტური ხმოვნისაგან შემდგარი კომპლექსი², როცა ერთ-ერთი ხმოვანი ვიწროა (ე. ი. ი ან უ), შეიძლება წარმოითქვას ორგვარად: უცვლელად ან ვიწრო ხმოვნის გაუმარცვლოვნებით (მისი გადაქცევით უმარცვლო ზგერად): ასეთ შემთხვევაში უ-ს ნაცვლად წარმოითქმის უმარცვლო ულტრამოკლე უ (გრაფიკულად შეიძლება აღვნიშნოთ როგორც ვ), ხოლო ი წარმოითქმის როგორც ულტრამოკლე ი (რასაც გრაფიკულად აღვნიშნავთ როგორც ლ-ს).

ასეთი ორგვარი წარმოთქმა ფაკულტატურია.

უ	ს
სოურე „საიდან“	სოურე
გოლუაფირო „შემოგველე“	გოლუაფირო
ამუოჩინი „ჩაუბედე“	ამუოჩინი
ვაუბალუდე „არ ეყოფოდა“	ვაუბალუდე
ამქუანი „ამ დილით“	ამქუანი
•	•
ქიანა „ქვეყანა“	ქიანა
ართიანს „ერთმანეთს“	ართიანს
ვაიჩქუნო (—ვაგიჩქუნო)მ „არ იცი?“	ვაიჩქუნო

1 ან პროცესებს აქ, ცხადია, დაწვრილებით ვერ შევხვებით.

2 მხედველობაში გვაქვს სიტყვის შუაში (ინლაუტში) მოქცეული ხმოვანთკომპლექსი.

3 მეორე ობიექტური პირის ნიშანი გ, როცა მას წინ უძღვის რაიმე ხმოვანი და მოსდევს ი (ე. ი. პოზიციური V გი), მუდამ შეიძლება დაეკარგოს. ამიტომ გვაქვს პარალელური ფორმები: ვაილუ//ვაილუ „არა ვაქვს“, ვაგიჩქუ//ვაიჩქუ „არ იცი“, მევილუ//მევილუ „მევაქვს“... საინტერესოა, რომ ხმოვანთკომპლექსი, მდებარე გ-ს ჩაჯარღის შიგთავად, არ განიცდის ასიმილაციას და შერწყმას. დაწვრილებით სხვაგან.

კინოსორგუ (—კინოგისორგუ)  
„ცუთხეში“ გიცრია“  
ვიგეიძინა (—ვეგევიძინა)  
„არ დაგიმატებ“

კინოასორგუ  
ვეგეძინა

იმის მიხედვით, თუ რამდენმარცვლიანი სიტყვაა საპირო კონკრეტულ შუხსლში ან ტაეპში, შესაძლებელია გამოყენებულ იქნას გამოთქმის ნებისმიერი, ამ კონკრეტული უმთხვევის შესაფერისი, წარმოთქმა. რამდენიმე პარალელური მაგალითი (ხაზგასმული სიტყვა ჩაწერილია ისე, როგორც ის წარმოთქმის მოყვანილ სტრიქონში):

ქიანა

რინაშ ნება ქორდასინი,  
ქიანა მუშ მთარათა რე!  
„ყოფნის ნება რომ იყოს,  
რა ფართეა ქვეყანა!“

სიკოთა

ანუ, ბანუ, წიგნის ქარუ,  
სიკოთა ლოგინს ჭანუ.  
„ანი, ბანი, წიგნში წერია,  
სიკოთა ლოგინში წევს“.

ართიანს

ზე ქემეფრათ ართიანს,  
ირო წორო იპუათ.  
„ხელი მივეცეთ ერთმანეთს,  
ყოველთვის ერთად ვიყოთ“.

სოურე

სი სოურე მოზოჭუნქი,  
ბატონსქუა მელთა.  
„შენ საიდან მობრძანდება,  
ბატონიშვილო მელია“.

გოლუაფირო

სქანი გოლუაფირო  
„შენ შემოგველე“.

ქანა

ქანა აქნალები მათუ,  
უაღოტებუ არე-მარე.  
„ქვეყანა შემოვლილი მაქეს,  
არ დამიტოვებია არე-მარე“.

სიკოთა

ჩქიმი ჭიმა, ჩქიმი ბაძუ,  
ბანძას სამართალი ეაძუ,  
სიკოთა დო მუშ მაყარე  
ხოლო შარას გიღებანძლუ.  
„ჩემო ძმაო, ჩემო ბაძუ,  
ბანძაში სამართალი არაა,  
სიკოთა და მისი მაყარი  
ახლაც გზაზე ბლარძუნობენ“.

ართანს

გეფშვათ ღვინი ხარათია,  
ართანს ქოღებხევათითა.  
„დაჯლოთ ღვინო ჩაფითაო,  
ერთმანეთს ვადაულოცოთო“.

სოვრე

ნოტე ქომოჩინუას,  
სოვრე გიღეწიორუქ.  
„ნეტაე მაყურებანა,  
საით დაგოგმანობ“.

გოლუაფირო

ქომიწიო, გოლუაფირო,  
მუქამიშა გიჩინა.  
„მითხარ, შემოგველე,  
სანამ გიყურო“.

ხმოვნის ამოღება. საკმაოდ ხშირია ხმოვნის ამოღება სიტყვის შიგნიდან. ეს შეეხება ვიწრო ხმოვნებს (ი, უ), რომლებიც სიტყვის არაგანაპირა მარცვალში გვაქვს<sup>1</sup>. რედუცირებული და არარედუცირებული ფორმები ჩვეულებრივად პარალელური ხმარებისაა.

ამოღებულია ი

მეირა—//მეარა	„მეორე“
გურიშე—//გურშე	„გულიდან“
გურიშა—//გურშა	„გულში, გულიკენ“
სქანიცალო—//სქანცალო	„შენსავით“
გევილაჭოთუ—//გევალაჭოთუ	„ჩამოაგლო“
ვემილაძე—//ვემლაძე	„შიგ არა ძვეს“
ორდესიკო—//ორდესკო	„ყოფილიყვენს“
ვაგეშიხელუ—//ვაგეშხელუ	„არ მექდა“

ამოღებულია უ

მასუმა—//მასმა	„მესამე“
უკუშელა—//უკშელა	„სიბნელე“
ოკუშარე—//ოკშარე	„დილა“

პირველი სტრიქონი სასიმღერო ლექსიდან „ნანა“,

არკვანიშა მიშამჩანუ	„აკვანში მიწვეს
ვარღიშ პირი მა,	ვარღის კოკორი მე“,

მეიძლება შეიცვალოს არკვანშა (ი-ს ამოღებით) და მიშამიჭანუ (ამოღებული ი-ს აღდგენით), მაგრამ ასეთი ვარიანტი ლექსს დაარღვევდა (ტაეპის ზომას 4/4), ამიტომ პირველ მუხლში გამოყენებულია ურედუქციო არკვანიშა, ხოლო მეორე მუხლში — რედუცირებული მიშამჩანუ.

აპრიგად, ასეთ შემთხვევებშიც საქმე გვაქვს პარალელურ ფორმებთან, რომლებიც ერთმანეთისაგან განსხვავდებიან მარცვალთრაოდენობის მიხედვით. ცხადია, ლექსში ის ფორმა იქნება გამოყენებული, რომელიც კონკრეტულ შემთხვევაში მარცვალთრაოდენობის მხრივ სათანადო ლექსის ზომას შეეფერება.

მაგალითად, ავიღოთ პეტერომეტრული სტროფი, რომლის კენტი სტრიქონები რეპარცელიანია, ხოლო წყვილი — შვიდმარცვლიანი.

8 შიო, ჩიტო, ქოფურინი,	„აქშა, ჩიტო, გაფრინდი,
7 ქემეული თენა თის,	მიუტანე ეს იმას,
8 დიო ხესი ქემეჩი დო	ჯერ ხელში მიეცი და
7 უკულ ქააქული პის.	მერე აკოცე პირზე“.

<sup>1</sup> შტრ. ვემითილანს—//ვემთილანს „არ შეიტანს (ქვეშ)“. ამავე ზმნაში ეს ი არ ამოვარდება. თუ თავიიდურა მარცვალშია, მაგალითად, მითილანს „შეიტანს“ (არ შეიძლება მითილანს). აფიქსიისეული ი არ დაიკარგება მაშინაც, თუ მას მხოლოდ ერთი მარცვალი მოსდევს, მაგალითად, ვეგემიძე „არ მიძევს“ (არ შეიძლება ვეგემიძე), მაგრამ ვეგემიძელუ//—ვეგემიძელუ „არ მედო ზედ“.

ამ სტროფის გადაკეთება სულ ადვილია იზომეტრულ რვაშარცვიან ან შვიდშარცვიან ლექსად წარმოთქმის ორი სტილის კანონზომიერების მიხედვით. მაგალითად, საკმარისია სარიტმი სიტყვებს, რომლებიც თანხმოვანზე ბოლოვდებიან (თის, პის), დაემატოს მაერცობად ი ხმოვანი და მივიღებთ რვაშარცვიან ლექსს (ასეთი ვარიანტი დასტურდება კიდევ):

8 შიო, ჩიტი, ქოფურინი,  
8 ქემეული თენა თისი,  
8 დიო ხესი ქემეჩი დო  
8 უჯულ ქააჯული პისი.

ასევე ადვილია ეს სტროფი შვიდშარცვიან ლექსად გადაკეთდეს, საკმარისია კენტ სტრიქონებს დავაკლოთ ხსენებული კანონის თანახმად ერთ-ერთი ი:

7 შიო, ჩიტი, ქოფურინ,  
7 ქემეული თენა თის,  
7 დიო ხეს ქემეჩი დო  
7 უჯულ ქააჯული პის.

მეტიც, შეიძლება ამ ლექსის პირველი ორი სტრიქონი ექვსშარცვიანი გახდეს:

6 შიო, ჩიტ, ქოფურინ,  
6 ქემეულ თენა თის...

ერთგვარად უცნაური ისაა, რომ ყველა ეს ვარიანტი აღიქმება როგორც თითქმის ერთი ზომის ლექსი.

მეგრული სალექსო ზომის ამგვარი მობილურობა, რის გამოც სამ- და ოთხშარცვიან მუხლებს შორის ზღვარი შეიძლება წაიშალოს (თუშცა ყოველ „ონკრეტულ შემთხვევაში ის ან სამშარცვიანია, ან ოთხშარცვიანი), ზოგჯერ აძნელებს საკითხის ცალსახად გადაწყვეტას, თუ რა ზომისაა ტაეპი: გააჩნია როგორ წარმოთქვამთ მას ან როგორაა იგი ჩაწერილი (ცხადია, მხედველობაში არა გვაქვს აშკარად არაზუსტი ჩანაწერი).

ყველა განხილული შემთხვევა — სიტყვის ბოლოში ვიწრო ხმოვანთა მოკვეცა და დართვა (რაც წარმოთქმის სტილს ქმნის), „გრძელ“ ხმოვანთა ორგვარი წარმოთქმის შესაძლებლობა, ხმოვნის ფაქულტატური გაუმარცვლოვნება, ხმოვნის ფაქულტატური ამოღება, რაც გარკვეული კანონზომიერების მიხედვით ხდება და არა თვითნებურად, — ისეთი ფონეტიკური მოვლენებია, რომელთაც უშუალო კავშირი აქვთ ლექსის სტრუქტურის საფუძველთან — მარცვალთაროდენობასთან მუხლში. ყველა განხილული შემთხვევა იწვევს ისეთ პარალელურ ფორმათა არსებობას, რომლებიც ერთმანეთისგან მარცვალთა მეტ-ნაკლებობით განირჩევიან. ლექსში ეს საშუალება ფართოდაა გამოყენებული სასურველი (მოცემული ლექსის ზომისათვის აუცილებელი) სალექსო

სტრიქონის მისაღებად. ლექსის ჩაწერისას (ან წარმოთქმისას), თუ ამგვარ შესაძლებელ პარალელურ ფორმათა აღრევა მოხდა, ლექსი მახინჯდება, თუმცა ენის გრამატიკული ნორმის თვალსაზრისით დარღვევას ადგილი არა აქვს.

განხილული თავისებურებები მეგრულ ლექსს ერთგვარად მობილურს ხდის, უფრო ელასტიკურსა და „დაუდევარს“, ვიდრე, მაგალითად, აღმოსავლეთ საქართველოს (მაგალითად, ქართლ-კახურ, ხევსურულ) კლასიკურად ნაქედ ხალხურ ლექსებს. ასეთს პირობებში შედარებით წინაა წამოწეული იმ „იდეალური რიტმის“ როლი, რაც სათანადო ლექსს უდევს საფუძვლად და მის ფონზე ხდება ტაქტის მარცვალთაოდენობისა და ცეზურების ნიველირება.

მახვილის საკითხი მეგრულ ლექსში. მახვილის ადგილი სიტყვაში მეგრულ ქართულიაგან ნაწილობრივ განსხვავებული აქვს<sup>1</sup>. მაგალითად, ორმარცვლიან სიტყვებს მახვილი ქართულივით ბოლოდან მეორე მარცვალზე აქვთ ცოჩი „კაცი“, თასუნს „თესავს“, გოლა „გუშინ“). სამმარცვლიან სიტყვებში მახვილი ბოლოდან მესამე მარცვალზეა როგორც ქართულში (მაგალითად, ქოთომი „ქათამი“, დოთასუ „დათესა“...), მაგრამ თანხმოვანზე დაბოლოებულ სიტყვებში მახვილი მეორე მარცვალზეა ჩვეულებრივად (დოთასუნს „დათესავს“, ქოთომეფიშ „ქათამებიან“...). გვხვდება ასეთი შემთხვევა ჰმოვანაზე დაბოლოებულ ზმნებშიც: ქომოთხი (—ქომოთხი) „მათხოვე“ (შდრ. ქომოთხი „მოკიდე (ხელი) და მისთ)<sup>2</sup>. ასეთ სიტყვებშიც დასაშვებია მახვილის დასმა ბოლოდან მესამე მარცვალზე (იდიოლექტურად). განსაკუთრებით ლექსში მახვილთა სხვაობა (ქომოთხი და ქომოთხი) შედარებით ნაკლებად იგრძნობა.

მახვილის ადგილს სიტყვაში და საერთოდ მახვილს მეგრული ლექსის სტრუქტურისათვის მნიშვნელობა არა აქვს ისევე, როგორც ეს ქართულ ლექსშია<sup>3</sup>. რა ადგილზედაც არ უნდა ჰქონდეს სიტყვას მახვილი, სალექსო სტრიქონში თეორიულად ის მუდამ შეიძლება შეიცვალოს იმდენივე მარცვლის მქონე სხვა სიტყვით, თუნდაც მას მახვილი სხვა ადგილას ჰქონდეს (მაგალითად, დოთასუ „დათესა“ შეიძლება შეიცვალოს სიტყვით დოთასუნს „დათესავს“, ჭიმალენს „ძმებს“ სიტყვით ჭიმაშო „ძმისთვის“ და მისთ.). ცხადია, სალექსო სტრიქონში მახვილთა რაოდენობა და მათი თანამიმდევრობა (ცონფიგურაცია) ლექსის სტრუქტურისათვის მნიშვნელობას მოკლებულია:

დუდიშ ტვინი/განომრთონუ ' — — — —  
შეჩვენებულ/მარბეღქი — — — —  
„თავის ტვინი ვაღამიბრუნა  
წყენებულმა მაქანკალმა“.

1 დაწერილებით იხ. ჩვენს ზემოთ ნახსენებ წერილში.

2 ყველა ასეთი შემთხვევა მეგრულში მეორეულია და გარკვეული ფონეტიკური მიზეზებით აიხსნება.

3 იხ. ჩვენი: მახვილის როლისათვის ქართულ ლექსში, „მაცნე“, 1975 წ. № 1 (აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის სესიის ანგარიში).

ეს სტრუქტურები ერთმანეთის ექვივალენტურია მახვილთა განლაგების სხვადასხვაობის მიუხედავად<sup>1</sup>.

სრულიად უსაგნოა მეგრულ ლექსში „ტერფების“ ძებნა. ასეთი რამ, როგორც ცნობილია, უცხოა ქართული ლექსისთვისაც. ტერფების მიხედვით მეგრული ლექსის ანალიზი, რაც ი. ყიფშიძეს აქვს მოცემული<sup>2</sup>, ამდენად სინამდვილეს არ შეეფერება (იმ ხანებში ასეთი აზრისა იყვნენ ქართული ლექსის შესახებაც და ი. ყიფშიძე, როგორც ჩანს, ამ აზრს მიემხრო). მართლაც, ი. ყიფშიძის ნიმუში ორმარცვლიანი ტერფებისა ასეთია:

პატონეფი/გამიგონით/ათე/ჩქიმი/გურიშ/ჭუა.

გური/წაუ/ლირი/მაფუ/მა ღო/რონსე/ვიფუ/ჩუა<sup>3</sup>.

აქ სიტყვებს უცნაური მახვილები აღმოაჩნდათ<sup>4</sup>:

პატონეფი	„ბატონებო“	უნდა იყოს: პატონეფი
წაულირი	„წამხდარი“	წაულირი
ვიფუჩუა	„ვიფიაც“	ვიფუჩუა
მა ღორონსე	„მე ღმერთს“	მა ღორონსე.

არაფერს ვამბობთ სიტყვათა განკვეთის შესახებ, რაც ასეთ ანალიზს წარამართა მოსდევს.

მეგრული ლექსი რომ ტონურ-სილაბური ყოფილიყო, ასეთი არაბუნებრივი მახვილები დაუშვებელი იქნებოდა, ცხადია, შეუძლებელი იქნებოდა სხვადასხვა მახვილთგანლაგების მქონე სტრუქტურთა ექვივალენტობაც.

სინამდვილეში ესაა მწყობრი ოთხმარცვლიანი მუხლებისაგან შედგენილი სტრუქტურები („მალალი შაირი“), სადაც მახვილს არავითარი მორგანიშნებელი მნიშვნელობა არა აქვს:

პატონეფი/გამიგონით/ათე ჩქიმი/გურიშ/ჭუა,

გური წაუ/ლირი მაფუ/მა ღორონსე/ვიფუჩუა.

აქ ერთ შემთხვევაში მუხლთა შორის საზღვარი მოშლილია (გური წაულირი მაფუ), ამგვარი შემთხვევების შესახებ უკვე გვექონდა საუბარი<sup>5</sup>.

1 სქემში პირობით ხაზი (/) აღნიშნავს მახვილიან მარცვალს, რეალი (◌) — უმახვილოს. ეს ნიშნები გრძელ და მოკლე ხმოვანთა აღსანიშნავად იხმარება ხოლმე, მაგრამ პირობით მისი გამოყენება მახვილიან და უმახვილო ხმოვანთა აღსანიშნავადაც შეიძლება (სათანადო უნიშვნით).

2 ი. ყიფშიძე, დასახ. ნაშრ., § 162, გვ. 0148.

3 თარგმანი იხ. ზემოთ, გვ. 343.

4 რატომღაც ნაკლები ყურადღება ექცევა იმ ფაქტს, რომ ერთ სიტყვაში აღმოჩნდა ორი მახვილი, რომელიც ფაქტობრივ ზუსტად ერთნაირად ფასდება ლექსში. ბუნებრივი კი არაა ერთ სიტყვაში ორი ერთნაირად მნიშვნელოვანი მახვილის ვარაუდი და ლექსთწყობის სქემებში აირივ ამ მახვილის უნიშნელოდ ერთნაირად დაფასება? ეს ეხება ქართულ ლექსსაც.

5 იხ. აგრეთვე ჩვენი: ქართული სალექსო სტრუქტურის სტრუქტურის ზოგიერთი საკითხი, „ციცკარი“, 1974 წ., № 7.

ასევე არაბუნებრივია „სამმარცვლიანი ტერფების“ გამოყოფა ათმარცვლიან (5 + 5) ლექსში:

მახა, /მა სქანოთ/ კირიბი/ ვორდა  
ირ გაკირებამ/გალუ/აფარი,  
მახა,/მა სქანოთ/სანთელი/ვორდა  
ხატიშ/წოხოლე/ონდლუ/ლაფარი<sup>1</sup>.

ფაქტობრივ ესაა ხუთმარცვლიანი მუხლებისაგან (და არა ორ- და სამმარცვლიანი ტერფებისაგან) შედგენილი ლექსი, რომელიც მთავარი ცეზური იკვეთება ხუთი მარცვლის შემდეგ (5 // 5). ამ ხუთმარცვლიანი მუხლის შიგნით შეიძლება მოთავსდეს სიტყვათა ნებისმიერი კომბინაცია, ოღონდ მარცვალთა საერთო რაოდენობა უნდა იყოს ხუთი (არც მეტი, არც ნაკლები). ასეთ პირობებში სიტყვათა განკვეთები არსად საჭირო არაა და მახვილსაც მნიშვნელობა არა აქვს:

მახა, მა სქანოთ/კირიბი ვორდა  
ირ გაკირებაშ/გალუაფარი,  
მახა, მა სქანოთ/სანთელი ვორდა  
ხატიშ წოხოლე/ონდლულაფარი.

მეგრული ლექსის წარმოთქმა (როგორც საერთოდ ქართული ლექსისა) დასაშვებია ისეც, რომ მახვილი ეცემა მუხლში მხოლოდ ერთ მარცვალს (ე. წ. „სალექსო წარმოთქმა“, განსხვავებით „სამეტყველო წარმოთქმისაგან“). მაგალითად, პატონეფი, გამიგონით/ათე ჩქიმი/გურშიშ ჭუა... მახა, მა სქანოთ/სანთელი ვორდა... დასაშვებია ნარევი („სამეტყველო-სალექსო“) სტილით წარმოთქმაც.

**სტროფი.** სტროფი ჩვეულებრივად ოთხტაეპიანია (მაგალითები იხ. ზემოთ), მაგრამ გვხვდება როგორც უფრო მოკლე (სამტაეპიანი), ასევე უფრო გრძელი (ხუთ-, ექვს- და მეტტაეპიანი) სტროფებიც. სტროფს ამთლიანებს საერთო რითმა.

ორტაეპიანი სტროფი (რითმის სქემა a a) იშვიათი არაა. გვხვდება როგორც ცალკე შაირის სახით, ისე ამა თუ იმ ადგილას უფრო ვრცელ ლექსში. რამდენიმე მაგალითი:

პივე ცირა — თუმა ჩე,  
მაშქურინე ჭუმარე.

„პატარა გოგო — თმა თეთრო,  
მეშინია მიკბინო“.

შარას მიფში ვარდი ბძირი,  
ჩინს ხომულა, წვანსუ პირი.

„გზაზე მივდიოდი, ყვავილი ვნახე,  
ძირში გამხმარი, წვერში — კოკორი“.

<sup>1</sup> თარგმანი: გენაცვალე („მახარებლო“), მე შენთვის კრავი ვიყო, ყოველი გაჭირვების (ტამს) თავზე შემოსაელები, გენაცვალე, მე შენთვის სანთელი ვიყო, ხატის წინ დასადნობი.



სამტაეპიანი სტროფი იშვიათად გვხვდება:

ზესქვი უჩა, კუღელ დიჩა,  
ოქუმარეს მა სი მუ რჩა,  
ვაგოკონო კა დო ფურჩა?

„შაშვი შავო, კუღაშლილო,  
დილით მე („შენ“) რა გაქამო,  
არ გინდა ჩალა და ფურჩი?“

ქიჰე ცირა, თომა ფალა,  
სქანი თომა ქომუჩას  
შურიშ გინართუაფალა.

„პატარა გოგო, მთლად თმა,  
შენი თმა მომცა  
სულის გადასყოლებლად“ .

პირველ მაგალითში რითმის სქემაა a a a, მეორეში — a b a.  
იშვიათთა ხუთტაეპიანი სტროფიც. მაგალითად,

ირკოჩ ჟინოსქუა რენ დო  
მიქ იეჟუს ყახახიქ,  
არძოს ქიეჟუპირუნოუ,  
მუშ ლულას დო მუშ მართარს,  
რუს ხენწიფეშ მართახიქ!

„ყველა თვადიშვილია და  
ვინ იქნეს გლეხი,  
ყველას მიეწია,  
მის მრუდსა და მის მართალს,  
რუს ხელმწიფის მართახი!“

აქ მეოთხე სტრიქონი თითქოს ჩამატებულს ჰგავს ექსპრესიის გასაძლიერებლად, რეჩიტატიული წარმოთქმისათვის. რითმების სქემა: a b c d b.  
ექსტაეპიანი სტროფიც:

ქუთეშიშ ქალაქი დო  
სარღებოში დუქანობა,  
ირფელიშენ ჭგირო ვორაქ,  
მაწუხენს უსქანობა,  
სქანი თიშა მუშალ ვორაქ,  
მუჰომ გიჩქუ სუშარობა.

„ქუთაისის ქალაქი და  
სარღებოს დუქანობა,  
ყოველმხრივ კარგადა ვარ,  
მაწუხებს უშენობა,  
შენთან (ოჯახში) მომსვლელი ვარ,  
როგორი იცი მასპინძლობა.“

გვხვდება, როგორც ვთქვით, გაცილებით დიდი ზომის სტროფებიც.

სტროფი შეიძლება ბოლოვდებოდეს რეფრენით (ან ტაეპის ბოლოში გვექონდეს იგი). ასეთი რეფრენია „პა, ნანა“, „ოუ ნანა“, „ოუ ნანა, ნანა“, „დიდა-ვოი ნანა“... გვხვდება უფრო დიდი ზომის რეფრენებიც (მებდინავო, ჩქიმი ცოდა, „დავიკარგო? ჩემი ცოდვა“) და სხვ.

რითმა. რითმა მეგრული ლექსის აუცილებელი ელემენტია: ურითმო ლექსი (თეთრი ლექსი) მეგრული სთვის დამახასიათებელი არაა<sup>1</sup>. ერთმანეთს ერთნება სტროფის წყვილი ტაეპების ბოლო ნაწილი (ე. ი. მეორე და მეოთხე სტრიქონები, თუ ტაეპი მეტ სტრიქონს შეიცავს, გართმევა მანც ამ პრინციპით მიღის). ესაა გართმევის ყველაზე გავრცელებული და ჩვეულებრივი წესი (ფორმულა: a b c b):

მეურემე ურემს გეხე,  
ღეს უეებუ ჰინუ გინძე,

„მეურმე ურემზე ზის,  
ხელში უქირავს გრძელი წყნელი,

<sup>1</sup> შენიშვნები მეგრული ლექსის რითმის შესახებ იხ. აგრეთვე ი. ყიფშიძის დასახ. ნაშრ., გვ. 0148—0149.

მუერსი დო მიიბირსი,  
მუ რე მუში დუღიმ მინჯე.

გოთოხეკ ცაცხვი ჭინს,  
ბინდი მიქაქალუნანს,  
ქოგმაშინე ყოროფილი,  
გურსი მიცხვანტალუნანს.

მიდის დო მიომღერის,  
თვითონა თავისი თავის პატრონი<sup>1</sup>.

„ეზივარ ცაცხვის ქვეშ,  
ნიაი მიქრის,  
გამახსენდება საყვარელი,  
გული მეთანდარება“.

ჯვარედინი რითმები (როცა პირველი სტროფი ერთმება მესამეს, მეორე კი — მეოთხეს  $a b a b$ ) მეგრულს არ ახასიათებს. ასევე არ გვხვდება, ცხადია, პირველი სტრიქონის გართმევა მეოთხესთან და მეორისა მესამესთან ( $a b b a$ ).

იმეფიათია მეგრულში პარალელური რითმები, როცა პირველი სტრიქონი ერთმება მეორეს, მესამე — მეოთხეს და ა. შ. ( $a a b b c c$ ). ასეთი რამ შეიძლება შეგვხვდეს მოკლე, ორსტრიქონიან ლექსში, შაირებში ან კიდევ ზოგჯერ ლექსში ამა თუ იმ ადგილას:

ეი, ვარა, ფოშტამ ფარა,  
ვინიგ ვარა — გორტყაბარა!

შარას მიფში, ვარდი ბიირი,  
ჭინს ხომულა, წყანსი პირი.

„ეი, ვარა, ფოსტის ფული,  
გადაიხადე, თორემ გაგატყავებ!“

„გზაზე მივდიოდი, ყვავილი ვნახე,  
ძირში გამხმარი, წვერში — კოკორი“.

გვხვდება გართმევის ისეთი შემთხვევებიც, როცა ერთმანეთს ერთმება პირველი, მეორე და მეოთხე სტრიქონი, ხოლო მესამე სტრიქონი ურითმოა ( $a a b a$ ). ასეთი რამ ხშირია მოკლე ერთსტროფიან „შაირებში“, შედარებით იშვიათია გრძელ ლექსებში.

პაპა გერე წირუას,  
თოლენს გურწყინუნანს.  
ღიაკონი მზაკვარი  
ძღაბენს ოძიციუნანს.

ელესია, მელესია,  
ხხომ ჭოფეს ღელესია,  
ეირ ოსური მიქი მეჩუ  
ჩქინი გიო ყვერესია.

სანაკი დო ფუთი შქას  
შეფორჩილი ღუმე ჩანს,  
ყოროფილქ შემიდინუ,  
ფერ დო ხორცის მუ მუჩანს.

„მღვდელი დგას წირვაზე  
თვალეხს პრაწავს,  
ღიაკვანი მზაკვარი  
გოგოებს აცინებს“.

„ელესია, მელესია,  
თევი დაიჭირეს ღელეშიო,  
ორი ცოლი ვინ მისცა  
ჩვენს გიო ბრმასაო“.

„სენაკსა და ფოთს შორის  
გაბმულად ღომი თესია,  
საყვარელი დამეკარგა,  
ფერსა და ხორცს რა მომცემს?“

<sup>1</sup> მეგრულ შაირებში, ისევე როგორც მრავალ სხვა ხალხთა შაირებში, ხშირად პირველი ორი სტრიქონი აზრობრივად არ უკავშირდება ბოლო ორ სტრიქონს (რომელშიც მთავარი აზრია გამოთქმული). ამასთან, ზოგჯერ პირველი სტრიქონი სრულიად უაზროა და რიტმისა და რითმის შექმნას ემსახურება (მაგალითად, იხ. ქვემოთ „ელესია, მელესია“), იხ. აგრეთვე ი. ყიფშიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 0149.

გვხვდება შინაგანი რითმის გამოყენების შემთხვევებიც, მაგალითად,

აშო, ჩელა, სი ჩერჩელა,  
სი მონობას გეგაფილი...

ლაქეთ, ჩელა, შე ჩოჩილაჲ,  
შე მონობას ნაჩევეო<sup>ა</sup>.

თავისებურადაა გარითმული ქვემოთ მოყვანილი ლექსი, სადაც რითმა აქვს მეორე, მეხუთე და მეათე სტრიქონებს:

— ღორჭო, კოჩი მეგჩქვინი,  
სი მუ ღოლი სქულაღვი?  
— ბაღე მუკომიღვი, მარა  
ეჭი-ეჭი გოგიფაჩი,  
გიოთგილი ქულაღვი.  
ჩქიში ვითოჩინაშენი  
ხუთი კაა მიღგაღლე  
უქკომური, უშუმური,  
პუზინეე გოხარცილი  
სქანი ურცხო სუმარეფი.

— ღორჭო, კაცი რომ გამოგიგზავნე,  
შენ რა უყავ (შენი) შეიღები?  
— ბაღე მომიღვი, მაგრამ  
აქა-იქ გაგირღვი,  
გაგიძვერი ქვებში.  
ჩემს ყურებაში  
ხუთი ცალი წაგვივა  
უქმელი, უსმელი,  
ქიპ-ვახეთქილი  
შენი უცხო სტუმრები<sup>ა</sup>.

ხშირად ერთსა და იმავე ლექსში სხვადასხვა სტროფები გარითმულია სხვადასხვაგვარად<sup>1</sup>.

მეგრულში გამოყენებულია როგორც ზუსტი, ისე არაზუსტი რითმებიც. ამ უკანასკნელი სახის რითმა საკმაოდ ხშირია (გაკლებით ხშირი, ვიდრე, მაგალითად, ფშავ-ხევსურულ ან ქართლ-კახურ ლექსებში). მაგალითები იმდენად ხშირია, რომ აქ მხოლოდ ორიოდ ნიმუშს დავასახელებთ სარითმო სიტყვებისა: ჩხანა — შარა, წანა — ფარა, გური — ქომიჩუნი, ვადმარინე — მართალი რე, იბრჩქილექ — იფჩინენქ, გიროგენქია — გაკეთენსია, რაგადელქ — მარებელქ, ფელეკანს — სვერე თხას...

რითმა შეიძლება იყოს ერთმარცვლიანი, ორმარცვლიანი და სამმარცვლიანი. მართალია, იშვიათი როდია მეტმარცვლიანი რითმებიც, რაც ასე ამშვენებს ლექსს, მაგრამ ლექსის სტრუქტურის თვალსაზრისით სამზე მეტმარცვლიანი რითმა ქარბია (და არა აუცილებელი).

გარკვეული სტრუქტურის სალექსო ტაქსს (მუხლთა მიმდევრობას) შეესაბამება რითმათა გარკვეული (მინიმალურად აუცილებელი) მარცვლოვნობა. რამდენადაც „სარითმო კლაუზულას“ წარმოადგენს ტაქსის ბოლო მუხლი, თუ რამდენმარცვლიანი უნდა იყოს რითმა, — დამოკიდებულია მოცემულ მუხლის მარცვალთრაოდენობაზე. სახელდობრ, ძირითადი ზომის (4/4) რეამარცვლიანი ტაქსისათვის აუცილებელია მინიმუმ ორმარცვლიანი რითმა — ასევე ორმარცვლიან რითმას მოითხოვს ამ ზომის (4/4) ეარიანტები (მაგალითად, 26, 62, 242):

<sup>1</sup> თუ სტროფი ოთხზე მეტ ტაქსს შეიცავს, რითმაც მას ბოლომდე ვაკეება.

ართი დროსი მებაღეთი  
ელემიში ბალის ვორდი,  
მებაღობა მოსქევანდუ ღო  
ბედნიერო დინუეორდი.

„ერთ დროს მებაღედ  
ელემის ბაღში ვიყავ,  
მებაღეობა მშვეენოდა და  
ბედნიერად ვიღექი შიგ“.

ქარბი (ოთხმარცვლიანი) რითმა გვაქვს, მაგალითად, სტროფში:

სი რექ ბუა ღო სი რექ თუთა,  
?ანათობელ სი სერიში,  
ჭირი ქობლოლამუდას  
სქანი ჩელა კისერიში.

„შენ ხარ მზე და შენ ხარ მთვარე,  
მანათობელი ღამისა,  
ჭირი შემეყაროს  
შენი თეთრი ყელისა“.

შეიღმარცვლიანი (43) ტაეპის რითმა სამმარცვლიანია. ასევე სამმარცვ-  
ლიანია ამ ზომის სხვა ვარიანტთა (25, 16, 61) რითმაც:

ღობღურა და ღომინგარი,  
გომითხორი საფულე,  
სქანი ჭიქე კუჩხეფითი  
ღიხა ქენმოკაბულე.

„თუ მოკვდე, დამიტრე,  
გამითხარე სამარე,  
შენი პატარა ფეხებით  
მიწა დამატყენე“.

აღსანიშნავია, რომ შეიღმარცვლიან ლექსში შეიძლება გვექონდეს ერთ-  
მარცვლიანი რითმაც, ეს უფრო მაშინაა, როდესაც სტროფის ბოლო სიტყვა  
(ერთ-ერთ სტრიქონში მაინც) ერთმარცვლიანია. მეორე სარიტმო ერთეული  
ერთმარცვლიანი რომც არ იყოს, შეიძლება წინა სარიტმო სტრიქონის გავლენ-  
ით ბოლო მარცვალზე ხმის აწევა მოხდეს.

ეო, დოწყვილი თბიზხას  
ვადიფშქვიდიო მა წყარს,  
წყარიშ შქვიდა ეოფე, მარა

„ო, დაწყველილ პარასკევს  
არ დაეხრჩე მე წყალში?  
წყალში დახრჩობა (წინათაც) ყოფილა,  
მაგრამ

ჩქიმცალ ვალოლამუ შხვას.

ჩემისთანა არ დამართვია სხვას“.

ექვსმარცვლიანი სარიტმო ტაეპი (42, 24) ორმარცვლიან რითმას მოით-  
ხოვს:

ღებარდეში მალუეფი  
მიიფშითი ჭარო,  
ჩქინ პარტიას ოხოლულდუ  
ხორშულ ცირა მარო.

„ღებარდეში წამსელელები  
მივდიოდით ჭარად,  
ჩვენს პარტიაში ვრია  
ხორშელი ქალიშვილი მარო.“

ბუა დიდა რე ჩქიმი,  
თუთა — მუაჩქიმი.  
ხვიჩა-ხვიჩა მურიცხეფი —

„მზე დედაა ჩემი,  
მთვარე — მამაჩემი,  
მსხვილ-მსხვილი (მოჩახჩახე)  
ვარსკვლავები —  
და და ძმა ჩემი“.

ღა და ჭიმა ჩქიმი.

ექვემოთაღნიშნული სარიტომო ტაეპი, შედგენილი სამმართველოანი მუხლები-საგან (33)¹, მოითხოვს სამმართველოანი რითმას:

ქვინს, ვალუნს, მერეხანს  
მეხი ჰყონს ფელეკანს  
ათეჯგურა უჩა სერს  
ქვიშ გორუნს ხვერე თხას.

„წვიმს, ელავს, დელგმაჲ,  
მეხი მუხას ფხრეწს,  
ამისთანა შავ ღამეში  
მწყემსი ეძებს ბრმა თხას“.

როდესაც სარიტომო ტაეპის ბოლო მუხლი ერთმართველოანია (მაგალითად, 41), რითმაც ერთმართველოანია:

გემნოუნწყი შქართუნი დო  
ჭიიფჩინი მა,  
ბჟა დო თუთას ქოგურაფუ  
მუში ჰირიმა.

„გადავხალე საბანი და  
ვიცანი მე,  
მზესა და მთვარეს დამსვავსებია  
მისი ჰირიმე“.

ხუთმართველოანი მუხლებისაგან შემდგარი სარიტომო ტაეპი (5/5), რომელიც ათმართველოანი ლექსის კმნის, იგუეებს როგორც ორმართველოანი, ისე სამმართველოანი რითმას (ასეა ქართულშიც).

სარიტომო ერთეული, ცხადია, შეიძლება იყოს მთლიანი სიტყვის ბოლო ნაწილი (გურწყინუნანს — ოძიციუნანს); ან კიდევ შედგენილი იყოს სხვადასხვა სიტყვისაგან (მაგალითად, ღუმუ ჩანს — მუ მუჩანს). საინტერესოა, რომ რითმის ნაწილად დასაშვებია ინვერსიულად ნახმარი კავშირი დო „და“ იქნეს გამოყენებული (ფრიად სპორადულად): მუხულო — დუქუ დო „მუხულო“ — „დაუფქვეას და“.

სქემატურად სარიტომო ტაეპის მარცვლობას, ტაეპის სტრუქტურასა და რითმის მარცვლოვანობას შორის ურთიერთობა ასე წარმოიდგინება²:

სარიტომო ტაეპის მარცვალოვანობა	სარიტომო ტაეპის სტრუქტურა	რამდენმართველოანია რითმა
8	44	2
	(26)	2
	(62)	2
7	43	3,1
	34	2
	25	3,1
	61	1
6	42	2
	24	2

1 როგორც ვნახეთ (იხ. ზემოთ) ასეთი ზომა (3/3) ფაქტობრივ უღრის შეიღმართველოანი (4/3) ლექსს. მართლაც, ასეთი ზომის ფიქტიურობა მაშინვე აშკარა გახდება, თუ სამმართველოანი მუხლებად ხმოვნით დაბოლოებულ სიტყვას ავიღებთ.

2 მსგავსი რამ შეინიშნება ქართულ ლექსშიც. იხ. გ. წერეთელი, მეტრი და რითმა ვეფხისტყაოსანში, თბილისი 1973 წ., გვ. 55 შმდ.

კენტი მარცვლოვნობის სარიტომო მუხლები მოითხოვენ მარცვალთა კენტი რაოდენობისაგან შემდგარ რითმას, ხოლო წყვილი მარცვლოვნობის სარიტომო მუხლები — წყვილ, ორმარცვლიან რითმას. გამოწვევის ქმნის ათმარცვლიან ლექსი (ხუთმარცვლიანი ბოლო მუხლით), რიმელშიც ორმარცვლიანი რითმა დასაშვებია.

**რითმის გავრცობა.** წარმოთქმის ორ სტილთან დაკავშირებით აღვნიშნეთ, რომ თანხმოვანზე დაბოლოებულ ყოველ სიტყვას შეიძლება დაერთოს ვიწრო ხმოვანი ი (ან ჯ და გარკვეულ შემთხვევებში უ). თუ ასეთი დართვა მოხდა სარიტომო მუხლების ბოლოში, ცხადია, რითმის მარცვლოვნობა ერთი ერთეულით გაიზარდება. თანხმოვანზე დაბოლოებულ სიტყვას მითითებული ხმოვნები ყოველთვის შეიძლება დაერთოს, ოღონდ ლექსში მოქმედებს ერთი შეზღუდვა: ამ ხმოვნის დართვამ არ უნდა დაარღვიოს ლექსის სტრუქტურა — სარიტომო მუხლები ამ ხმოვნის დართვის შემდეგ არ უნდა გახდეს ხუთმარცვლიანი (ე. ი. შეუთავსებელი 4/4 და 4/3 ზომებისათვის) და ტაქტი არ უნდა გახდეს, მაგალითად, ცხრაშარცვლიანი. საერთოდ კი ამგვარი დართვის შესაძლებლობა აფერმკრთალებს სხვაობას ისეთ ზომებს შორის, როგორცაა 4/4 და 4/3, რამდენადაც საქმარისია სამმარცვლიან მუხლს დაერთოს ხმოვანი და 4/3 გადაიქცევა 4/4-ად. ასეთი შემთხვევა მართლაც ხშირია.

მაგალითად, სტროფი, სადაც სარიტომო ტაქტები შეიღმარცვლიანია, სამმარცვლიანი სარიტომო სიტყვა შეიძლება ოთხმარცვლიანად გადაკეთდეს (ასეთი ვარიანტები არსებობს კიდევ):

8 ჩე გოლაშა ეიხილი დო  
7 გინოჩინი ოქორთეს  
(//ოქორთესი)  
8 ბოში, ნუ მონირზექ, ვარა  
7 ქოგოძირანქ ონქლორეს  
(//ონქლორესი).

„თეთრ მთაზე“ ავედი და  
გადაეხედე სასარეს,  
ბიჭო, ნუ შეჩიბრები, თორემ  
სირცხვილს განახებ.“

რითმის გავრცობა შეიძლება აგრეთვე ა ხმოვნით (რომელიც ქართულში ცნობილი მავრცობის ა-სა და ო-ს ტოლია)<sup>1</sup>. ეს მაშინ შეიძლება მოხდეს, როცა ა? ა-ს წინ ი ან უ ხმოვანია. სხვაგვარად, რითმის მავრცობი ი და ა ერთმანეთთან ერთგვარად დამატებითი დისტრიბუციის დამოკიდებულებათაა: ი ავრცობს თანხმოვანზე დაბოლოებულ სარიტომო სიტყვას, ხოლო ა — ხმოვანზე (ი, უ) დამთავრებულს. მაგალითად,

<sup>1</sup> მაგალითად, ქართ. ვაყაცსა გული რკინისა, აბჯარი თუნდაც ხისა... ქართულში რითმის გავრცობა ფრიად ხშირია ხალხურ ლექსებში. თანამედროვე სალიტერატურო პოეზიაში უკვე შედარებით იშვიათია.

შხვას უთასუ, შხვას უხაჩქუ  
შხვას ეურღვა ღერცია.  
ირო სინთე კილაგანც  
სქან მალაზას კყელცია.

„სხვას უთესაუ, სხვას უთოხნი,  
სხვას აუყრი ღერსაო,  
ყოველთის შუქი კიაფობს  
შენს წყეულს ბელღლშიო“.

ეს ა შეიძლება დაერთოს თანხმოვანზე დაბოლოებულ ისეთ სიტყვას, რომელიც უკვე გავრცობილია კანონზომიერი ი ხმოვნით, მაგალითად,

ჩქიმი ჟიმა სესია,  
ქაარწყეჟო თეს-ი-ა...  
ტყეია ქეგუძინესი დო  
კინჩხის ქეგერღეს-ი-ა...<sup>1</sup>

„ჩემო ძმაო სესია,  
ხედაე ამასაო?  
ტყეია დაუმატეს და  
ქედზე დაგადგესო“.

ი-ს, როგორც ენახეთ, ყოველთვის შეუძლია განაგრცოს თანხმოვანზე დაბოლოებული ყოველგვარი სიტყვა, განურჩევლად სიტყვის პოზიციისა, ა კი მხოლოდ რითმის საერცობია, სხვა შემთხვევაში ის სიტყვას არ დაერთვის<sup>2</sup>.

რითმის გავრცობა (ქართულშიც, მეგრულშიც) ემსახურება, ერთი მხრივ, რითმის გამდიდრებას (რითმის მრავალმარცვლიანად გადაქცევას), ხოლო მეორე მხრივ, მარცვალთრაოდენობის თვალსაზრისით ნაკლები სარითმო მუხლის შევსებას საჭირო ზომამდე.

ტოგო გუდავა

<sup>1</sup> რითმის ორმაგი გავრცობა ქართულშიც ხდება ზოგჯერ ა+ო-ს მეშვეობით: თავსაო — ყავს-ა-ო.

<sup>2</sup> ასეთია ქართული რითმის საერცობი ო და ა-ც.





შენიშნები და პრაქტიკები

## შემოკლებანი

- დ. არაუ. Д. И. Аракчиев, Музыкально-этнографические очерки грузинской народной музыки, Москва, 1908.
- ბერ. შ. ბერიძე, მეგრული (ივერიული) ენა, თბილისი, 1920.
- ხ. მაკალ. ს. მაკალათია, სამეგრელოს ისტორია და ეთნოგრაფია, თბილისი, 1941.
- კ. ხაშუშ. ქართული ხალხური პოეზიის მასალები (მეგრული ნიმუშები), გამოსაცემად მოამზადა კ. სამუშიამ, თბილისი, 1971.
- უიფშ. И. Кипшидзе, Грамматика мингрельского (иверского) языка, СПб, 1914.
- ცაგ. А. Цагарели, Мингрельские этюды, I-II, СПб, 1880.
- ხუბ. შ. ხუბუა, მეგრული ტექსტები, თბილისი, 1937.
- თხუფა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფოლკლორისტიკის კათედრის არქივი.
- ფ. არკ. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის შ. რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტის ფოლკლორის განყოფილების არქივი.
- ფ. არკ. ხ. იმავე ინსტიტუტის ფოლკლორის განყოფილების არქივის სამეგრელოში ჩაწერილი მასალების კოლექცია.
- СМОМПК Сборник материалов для описания местностей и племен Кавказа.

1. ფ. არქ. ს. 251, გვ. 84-85. მთქმელი: ნელი ანთია, სოფ. ქკალუშა (ზუგდიდის რ.); ჩამწერი: დოდო გეგია, 1970 წ. ივლისი.

### ვ ა რ ი ა ნ ტ ე ბ ი :

კირიალესა, კირიალესა,  
ახალ წანას მიგახევაძა,  
ღორღონთ გოგითანუანსუ,  
ენა ჭვეში, შხვა ახალი,  
ირფელამო გეეხარი,  
სქანი ბანი, სქან მალაზა  
ლაიტიში ებშა...

კირიალესა, კირიალესა,  
ჩქინ მენძელი, გედ მალას,  
ფარაშ მეჩამაქ ვედგეზარას,  
ასე მიდაბრთ გეალაშა,  
ანწი ვამულ წანაშა...

კირიალესა, კირიალესა  
ახალ წელს მოგილოცავ,  
ღწერთი გავითენებს,  
ეს ძველი, სხვა ახალი,  
ყველაფრით გაიხარე,  
შენი ბანი, შენი ბელელი  
სიშინდით საესე...

კირიალესა, კირიალესა,  
ჩემო მასპინძელო, აღდექ ჩქარა,  
ფულის მოცემა არ დაგეზაროს,  
ახლა წავედი შთაში,  
აწ აღარ მოვალ გაისამდე...

ფ. არქ. ს. 249, გვ. 286. მთქმელი: თალიკო როსტობაია, სოფ. შამგონა (ზუგდიდის რ.); ჩამწერი: ეთერ რეხვიაშვილი, 1970 წ. ივლისი.

კირიალესა, კირიალესა!  
ახალ წანას მოგახევაძანქ,  
ენა ჭვეში, შხვა ახალი,  
ირიათო გეეხარი!

კირიალესა, კირიალესა!  
ახალ წელს მოგილოცავ,  
ეს ძველი, სხვა ახალი,  
სულ გაიხარე!

ოსუფა № 12088.

2. ფ. არქ. ს. 252, გვ. 97. მთქმელი: კოჩა აფშილავა, 80 წლის, სოფ. შამგონა (ზუგდიდის რ.); 1970 წ. ივლისი.

3. ფ. არქ. ს. 230, გვ. 308. მთქმელი: ანდრო კოტიას ძე ეჭიბია; ჩამწერი: ანდრო ეჭიბია (შვილიშვილი), სოფ. სახარბუდიო (ცხაკაიას რ.), 1965 წ.

4. თსუფა № 12104.

5. თსუფა № 12087.

6. СМОНПК ნაკვ. XXXII, განყ. III, გვ. 103. ყიფშ., გვ. 188.

## ვ ა რ ი ა ნ ტ ე ბ ი :

აიოზა რე, ბაიოზა რე,  
ბაიოზაშ წორს თანაფა რე...

აიოზაა, ბაიოზაა,  
ბაიოზის სწორს აღდგომაა...

თსუფა № 11132, გვ. 30.

აია რე, ბაია რე,  
ბაიაშ წორი თანაფა რე,  
ქისე რე ღო კაანდა რე —  
ღორონთიშ ნაქურთხი ღლა რე.

აიაა, ბაიაა,  
ბაიას სწორი აღდგომაა,  
შობაა და კალანდაა —  
ღეთის ნაქურთხი ღლეა.

ფ. არქ. ს. 251, გვ. 261. მთქმელი: ბ. დარჯანია, სოფ. ონოლია (გეგეპკორის რ.); ჩამწერი: სოსო სიგუა, 1970, ივლისი.

ბაიოზა („ბზოზა“) ღლესასწაული იყო, აღდგომამდე ერთი კვირით ადრე იხდიდნენ. „ბაიას“ დაკრეფდნენ, კერიას გარს შემოუწყობდნენ, ზედ კვერცხებს დაყრიდნენ. თევზს შეწვავდნენ (ფ. არქ. ს. 251, გვ. 261).

7. ივ. ჭავჭავიძე. ქართ. ერის ისტორია, 1, გვ. 118 (თბ., 1913); ყიფშ., გვ. 188.

8. ჩაწერილია 1960 წ. დ. გეგეპკორში.

9. СМОНПК ნაკვ. XVIII, განყ. III, გვ. 229; ყიფშ., გვ. 185. ასე ამბობენ, როცა რაიმე დაკარგულს ეძებენ.

10. ბავშვები თამაშობისას (მაგ., კენჭაობის თამაშის დროს) ასე აჯავრებენ ერთმანეთს, ნეტავ შეგეშალოს, რომ ჭერი ჩემი გახდესო.

11. ცაგ., გვ. 85.

12. ცაგ., გვ. 85. თარგმანი ცაგარლისა; ყიფშ., გვ. 132.

13. ფ. არქ. ს. 242, გვ. 161. მთქმელი: ეთერ გვარამია, სოფ. ქვედა ჩხოროწყუ; ჩამწერი: ღაზმირ გახარია, 1968 წ., ივლისი.

14. ფ. არქ. ს. 246, გვ. 11—12. მთქმელი: თამარ ადამია, ქ. ფოთი; ჩამწერი: სიუზა კუჭავა, 1969 წ. ივლისი.

15. ფ. არქ. ს. 247, გვ. 147-ა-147. მთქმელი: პოკრო (პროკოფი) ხარჩილაეა, სოფ. ობუჯი (წალენჯიხის რ.); ჩამწერი: იზოლდა სამუშია, 1969 წ. ივლისი.

16. თსუფა № 11273. მთქმელი: თედორე ცაავა, 87 წლის, სოფ. ლეცე (გეგეპკორის რ.); ჩამწერი: რ. ცანავა, 1971 წ. ივლისი.

17. ფ. არქ. № 2328. სასიმღერო, თქმული თადა გოგუას მიერ (67 წლის). სოფ. ხაბუმე (ჩხოროწყუს რ.); ჩამწერი: მამანტი კვირტია, 1936 წ.

18. ფ. არქ. ს. 234, გვ. 51. მთქმელი: ბარბარე დარჯანია, 90 წლის, სოფ. ონოლია (გეგეპკორის რ.); ჩამწერი: სტეფანე დარჯანია, 1965 წ. ივლისი.

19. თსუ ფოლკ. კათედრის 1973 წ. ფოლკლ. ექსპედიცია ტეხურის ხეობაში. ჩაწერილია თ. ცანავას მიერ, მთქმელი: ვალიკო მირცხულავა, 70 წლის, სოფ. ტალერი (გეგეპკორის რ.).

20. ფ. არქ. ს. 234, გვ. 41. მოქმელი: კაპიტონ გახარია; დაბადებული 1913 წ. სოფ. მუხური (ჩხოროწყუს რ.).

მახუტელა ნადირთაბატონის ტყაშმაფას (ტყის დედოფალს) იცავს საზარელი ოჩოკოჩის (ვაც-კაცის) ძალადობისაგან. ტყაშმაფას დაედევნება ოჩოკოჩი, ტყის დედოფალი კივილით გარბის და უხმობს მახუტელას. მახუტელა ოჩოკოჩს ერთხელ ესერის ტყვიას. დაჭრილი ოჩოკოჩი ემუდარება მახუტელას — კიდევ მესროლეო, მაგრამ მახუტელა ამ თხოვნას არ ასრულებს, რადგან იცის, რომ მეორედ ნასროლი ოჩოკოჩს ჭრილობას გაუმრთელებს. ეს მითოლოგიური პასაჟი დღემდე შემორჩენილია საბავშვო თამაშობაში. სოფ. მუხურში (ჩხოროწყუს რ.) ჩაწერილია ასეთი გადმოცემა: ერთ-ერთი საბავშვო თამაშის დროს გაქცეულ ბავშვს თუ მეორე ბავშვი დაეწია და თავზე, მხარზე ან ზურგზე ხელა დაარტყა, დაზარალებული დამრტყმელს ეტყვის — „დამიმატე, მახუტელო“ (გემიძინი, მახუტელა). გამარჯვებული არ უნდა შეცდეს და მეორეჯერ არ უნდა დაარტყას.

21. ფ. არქ. ს. 230, გვ. 306. მოქმელი: ანდრო კოტიას ძე ეჯიბია (1862 — 1952 წ.), სოფ. სახარბელიო (ცხაკაიას რ.); ჩამწერი: ა. ეჯიბია, 1965 წ. ივლისი.

22. ფ. არქ. ს. 252, გვ. 130. მოქმელი: ავქსენტი ყალიჩაეა; ქ. ზუგდიდი, 1970, ივლისი.

23. ყიფში., გვ. 132. იხ. აგრეთვე ცაგ., გვ. 86.

24. ფ. არქ. № 2298. მოქმელი: 70 წლის გლეხი-მომღერალი ივანე მათეს ძე ჩომახია (ქ. ზუგდიდი). ჩამწერი: მ. კვირტია, 1935 წ. შღრ. აქვე № 22.

## ვ ა რ ი ა ნ ტ ი:

### სამორწილო

ჩქიმ ქოთოში ქოჩორე,  
ჩხორო კოდი გოფჩოლე;  
სი ჩქიმ ჟიმა, ჟიმაჟოჩი,  
ეაშუნდი-და მუშა მორთი;  
გეშეია, გეშეია,  
ახალი დო ჭვეშია,  
გეშაშვი დო გეშახუმი,  
აშო მომიჩაკალე!  
ჩქიმი ჟიმა გუჯმახანი,  
გეშვი ღვინი, ქოღმახვამი;  
ვარა გეშვი, ვარა გელო,  
ვაგილ დოხუნაში ბეღი.

ჩემი ქათამი ქოჩორა,  
ცხრა კოდი დაეცალე,  
შენ ჩემო ძმაო, ძმაკაცო,  
თუ არ დალეედი, რაზე მოხვედი;  
დალეო, დალეო,  
ახალი და ძველიო,  
ამოსვი და ამოწრუპე,  
აქეთ (ბარბაციო) მომიტანე!  
ჩემო ძმაო გუჯმახან,  
დალეო ღვინო, გადმომილოცე;  
ან დალეო, ან აღეჟი,  
არა გაქვს დაჯდომის ბედი.

